23

844/SN 11594

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.

№ 140 (686)

ხუთშაბათი, 1 ივლისი, 1993 წელი

ფასი 15 კუპონი

პირველი სვეტი

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ ვლადისლავ არძინბას სატელევიზიო ინტერვიუში ჩამოყალიბებულმა მისმა პოზიციამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებრიობასა და ჯარის ნაწილებში. ეს რეაქცია განსაკუთრებით გამოიხატა ომის გაგრძელების მომხრეთა და გუდაუთის დაჯგუფების ექსტრემისტული პოლიტიკით უკმაყოფილოთა სულ უფრო მეტი რაოდენობის ადამიანთა შორის. ამის ნათელი მაგალითია 28 ივნისს მდინარე გუმისთაზე განლაგებული აფხაზ სეპარატისტთა პოზიციებზე მომხდარი ფაქტი. კერძოდ, 23 საათსა და 30 წუთზე აფხაზ მებრძოლთა შორის მოხდა შეტაკება, რომელმაც ნახევარ საათს გასტანა. ისინი ერთმანეთს ესროდნენ ყუმბარმტყორცნებს, ესროდნენ ავტომატური იარაღიდან. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი დღის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა როდია, მსგავსი ფაქტი რამდენჯერმე დაფიქსირდა.

ღამემ მდინარე გუმისთაზე გამავალი მთელი ფრონტის ხაზზე, ისევე როგორც ოჩამჩირის რაიონში, შედარებით მშვიდად ჩაიარა. აქტიური საბრძოლო მოქმედება არ ყოფილა.

რაც შეეხება სოხუმს, ელექტროგადამცემი ხაზის დაზიანების გამო, ქალაქს კვლავ შეუწყდა ელექტროენერგიით მომარაგება. მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, რომლებიც, შესაძლოა დღის ბოლომდე დამთავრდეს და ქალაქმა მიიღოს ელექტროენერგია. შეფერხებით, მაგრამ, მაინც ცხვება პური, მოსახლეობა შეძლებისდაგვარად მარაგდება პროდუქტებით, ვიღებთ ჰუმანიტარული დახმარების ტვირთს. და, რაც ძალზე შესამჩნევია, ქალაქის მოსახლეობა შესაშური პატრიოტიზმით გამოირჩევა და იშვიათია შემთხვევა, რომ სოხუმის მკვიდრებიდან ვინმემ მიატოვოს ქალაქი. ისინი გვერდში უდგანან ქალაქის დამცველებს.

და კიდევ ერთი სტატისტიკური ცნობა: აფხაზეთში მიმდინარე ომის 11 თვის მანძილზე დაბომბვის შედეგად დაიღუპა 803 მშვიდობიანი მოქალაქე, მათგან 110 ბავშვი და ქალია, დაიჭრა 758 მოქალაქე. დაინგრა და დაზიანდა 500-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი და ადმინისტრაციული შენობა.

●

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობა

30 ივნისს, 14 საათსა და 10 წუთზე გუდაუთის მხარემ დაიწყო ქალაქ სოხუმის მასირებული საარტილერიო დაბომბვა. ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში აფეთქდა 40-ზე მეტი ჭურვი. წინასწარი მონაცემებით არის მსხვერპლი და ნგრევა.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

„დასავლეთში არ შეიძლება დიდხანს სუფევდეს სიმშვიდე, თუ აღმოსავლეთში მოვლენები კეთილად არ წარიმართება"

45

ედუარდ შევარდნაძეს გადაეცა იმანუილ კანტის სახელობის პრემია

26 ივნისს, ბერლინში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს საზეიმო ვითარებაში გადაეცა იმანუილ კანტის სახელობის პრემია. ეს პრემია 1991 წელს დააარსა ფონდმა „FVSCH" მისი მიზანი იყო აღნიშნულიყო ევროპაში მშვიდობის დამყარებისა და აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაუმჯობესების საქმეში გაწეული განსაკუთრებული დამსახურება. ამ პრემიის პირველი მფლობელია ჰანს-დიტრიხ გენშერი.

ფონდი „FVSCH" დაარსებულია ამჟამად 98 წლის ჰამბურგელი ვაჭრის, მეცენატისა და საპატიო მოქალაქის ალფრედ ტეპფერის მიერ 1993 წლის 5 დეკემბერს. ფონდი, რომლის განკარგულებაშია 200 მილიონი გერმანული მარკა, ერთ-ერთი უდიდესია გერმანიაში.

დაჯილდოების ცერემონიალი გახსნა ქალაქ ბერლინის დეპუტატთა სახლის პრეზიდენტმა ქალბატონმა ჰანნა-რენატე ლაურინმა.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მისასალმებელი სიტყვით მიმართა დოქტორმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს პრემია გადასცა ქალბატონმა ბირტე ტეპფერმა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

დაჯილდოების ცერემონიალი დასრულდა ფონდის თავმჯდომარის ბატონ ჰელმუტ ტეპფერის გამოსვლით.

ჰანს-დიტრიხ გენშერის სიტყვა

ბატონო სახელმწიფოს მეთაურო, ძვირფასო მეგობარო ედუარდ შევარდნაძევ, ღრმად პატივცემულო, ძვირფასო ქალბატონო შევარდნაძე, ქალბატონებო და ბატონებო.

ჰამბურგის საქველმოქმედო საზოგადოება განსაკუთრებულ პიროვნებას გადასცემს დღეს იმანუილ კანტის სახელობის ჯილდოს.

ამ ჯილდოს ლაურეატმა, წერია დაჯილდოების სიგელში, განსაკუთრებული დამსახურება მოიპოვა ევროპაში მშვიდობის დამყარებისა და აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაუმჯობესების საქმეში.

ედუარდ შევარდნაძე მიეკუთვნება ახალი ევროპის აღმშენებელთა რიცხვს. იმ ევროპისა, რომელიც დაფუძნებულია თავისუფლების, დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების შესახებ ღირსეულ წარმოდგენაზე.

ის იმ პიროვნებათა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც შორსმჭვრეტელობით, მამაცობითა და გამბედაობით დაამხეს ევროპასა და ამ ქალაქზე — ბერლინზე გამავალი კედელი. ედუარდ შევარდნაძისთვის ამ ჯილდოს გადაცემა აქ, ბერლინში, ნიშნავს იმ ადამიანის პატივისცემას, რომლის გარეშეც ერთიანი ბერლინი, ერთიანი გერმანია და უკვე განუყოფელი ევროპა არ იარსებებდნენ.

ამ ჯილდოს გადაცემით საქველმოქმედო საზოგადოება პატივს მიაგებს ევროპულ სახელმწიფო მოღვაწეს, ქართველ პატრიოტს, ჰუმანისტს, გამბედავ და შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსს ედუარდ შევარდნაძეს. ის პატივს მიაგებს ადამიანის უფლებების, ადამიანის ღირსებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლს.

ის პატივს მიაგებს ადამიანს, რომელმაც ევროპაში ძლიერის კანონის ნაცვლად ჭეშმარიტი კანონის გამეფებას შეუწყო ხელი. სწორედ ამით მოქმედებს იგი იმანუილ კანტის იდეების თანახმად, რომელთა შესახებაც ჩვენ ვიცით: „კანონი კი არ უნდა მიესადაგოს პოლიტიკას, არამედ პოლიტიკა უნდა მიესადაგებოდეს ყოველთვის კანონს.

ყოველმა პოლიტიკამ უნდა მოიდრიკოს მუხლი კანონის წინაშე". რამდენია კიდევ გასაკეთებელი ევროპაში, მთელ მსოფლიოში ამ პრინციპის ასამოქმედებლად. მაგრამ რამდენია უკვე გაკეთებული! რამდენი რამ არის ამ პრინციპიდან უკვე განხორციელებული — და ეს სწორედ ედუარდ შევარდნაძის ღვაწლის წყალობით.

დღეს პატივს მივაგებთ იმ პიროვნებას, რომელთანაც ჩვენ, გერმანელებს, ასეთი მადლიერების გრძნობა გვაკავშირებს. მისი ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „მომავალი მშვიდობას ეკუთვნის" ასეთი სიტყვებით იწყება: „საქმის ისტორიაში ყოველთვის ადამიანის ცხოვრების ისტორიაც იმალება".

ეს, რა თქმა უნდა, ადამიანს — ედუარდ შევარდნაძესაც ეხება. იმანუილ კანტი წერდა: „ცოცხალი ბიჭისგან უფრო დადგება კარგი ადამიანი, ვიდრე მეტიჩარა, გონებით მოქმედი ახალგაზრდისაგან". ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენ ვიცით, ედუარდ შევარდნაძე ყოველთვის ცოცხალი ბიჭი იყო. ყოველ შემთხვევაში, მისგან კარგი ადამიანი დადგა. ქართულ სოფელ მამათში დაბადებამ და მისი სამშობლოს, საქართველოს ლამაზმა ბუნებამ კვალი დააჩნია მას. ის არის კაცი, რომელსაც არასდროს უთქვამს უარი თავის მშობლიურ ფესვებზე, ვისაც უნახავს, როგორი გაბრწყინებული თვალებითა და როგორი მონატრებით ლაპარაკობს ის თავის სამშობლოზე, გაიგებს, თუ როგორ მტკიცედაა მასთან შეზრდილი.

(დასასრული მე-2 გვ.).



სურათზე: ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა იმანუილ კანტის სახელობის პრემიით დაჯილდოების დროს.

საქინფორმის ფოტოქრონიკის ფოტო.

ედუარდ შევარდნაძის სიტყვა

ღრმად პატივცემულო პრეზიდენტო,
ღრმად პატივცემულო ბატონო ტეპფერ,
ძვირფასო ჰანს-დიტრიხ,
ბერლინელო მეგობრებო,

სულის სიღრმემდე აღელვებული ვარ და მიჭირს დავმალო ეს. აღელვებული ვარ აქ წარმოთქმული სიტყვებით, ჩემთვის კანტის სახელობის პრემიის გადმოცემის ფაქტითა და ადგილით, სადაც ეს ცერემონია ტარდება.

ეს არის ბერლინი, ერთ დროს ნანგრევებად ქცეული, შემდეგ კი მკვდრეთით აღმდგარი, ერთ დროს ორად გაპობილი, გახლეჩილი, დღეს კი მთლიანი, გერმანიის ერთიანობის სიმბოლო.

ეს ის ქალაქი და ქვეყანაა, რომლებიც ჩემი ბედის ნაწილი გახდა. მათ ხსენებაზე ჩემ თავს ვეუბნები: „თუ შესაძლებელი გახდა ბერლინის კედლის მოშორება და გერმანიის გაერთიანება, თვით სახელი, რომელსაც ეს ჯილდო ატარებს, აღმიძრავს სურვილს, ჩემი გულისნადები გაგიზიაროთ, ვისარგებლებ კანტის სახელით, რათა ვთქვა კატეგორიულ იმპერატივზე, რომელიც ერთი შეხედვით თითქოსდა ძალზე აბსტრაქტულია, მაგრამ არსებითად ადამიანთა ურთიერთობის უღრმეს და უკეთილშობილეს საფუძველს გამოხატავს: „მოიქეცი ისე, რომ შენს მოქმედებაში ადამიანი, როგორც ნებისმიერი სხვისი, ისე საკუთარი თავის სახით, ყოველთვის იყოს აგრეთვე მიზანიც. და არასდროს მხოლოდ საშუალება".

მე ვფიქრობდი ორად გაყოფილი გერმანიის ბედზე ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ამაზე ფიქრიც კი დანაშაულად ითვლებოდა. მე მივედი გერმანიის ერთიანობის აუცილებლობის დასკვნამდე მაშინ, როდესაც ამ იდეის აღიარება საკუთარი ქვეყნის ღალატს უდრიდა. მაგრამ თუ კაცს საკუთარი ხალხისა და ქვეყნისათვის სიკეთე და სამართლიანობა უნდა, როგორ შეიძლება მან იგივე არ უსურვოს სხვა ხალხსა და ქვეყანას?

ეს არის სწორედ ის, რასაც კანტი კატეგორიულ იმპერატივს უწოდებდა.

ეს არის სწორედ ის, რაც ესოდენ აკლია დღევანდელ მსოფლიოს, სადაც ძველი კედლების ნანგრევებიდან ცდილობენ აგონ ახალი.

მინდა ვისარგებლო კანტის სახელით, რათა კვლავ შევეხო მორალისა და პოლიტიკის შეთავსების პრობლემას. „სუფთა გონების კრიტიკის" დიდმა ავტორმა თეორიულად დაასაბუთა თითქოსდა შეუძლებლის, კერძოდ — ზნეობრივი პოლიტიკის, პრაქტიკული შესაძლებლობა. მან ამის არა მარტო შესაძლებლობა, არამედ აუცილებლობაც დაასაბუთა როგორც კაცობრიობის პრაქტიკული ამოცანა.

ცნობილია, რომ ყოველთვის, როდესაც ევროპული და მსოფლიო აზრი ჩიხში მოექცეოდა ხოლმე, გაისმოდა მოწოდება: „უკან კანტისაკენ". ეს იმას ნიშნავდა, რომ აზრმა, იდეამ და ფილოსოფიამ სწორი პოზიცია უნდა დაიკავოს, რათა გამოვიდეს კრიზისული მდგომარეობის ჩიხიდან და წავიდეს წინ. დღეს, როდესაც კაცობრიობა დაძაბულად ეძებს გზის მაჩვენებელ შუქურას, ისწრაფვის გამოვიდეს ახალი კრიზისის ლაბირინთიდან, ოდნავ შევცვლიდი ძველ მოწოდებას და ასე ჩამოვაყალიბებდი მას: „წინ, კანტისაკენ"!

ძალზე დროულად მიმაჩნია მორალური პოლიტიკის კანტისეული იდეალის შეხსენება მაშინ, როდესაც აგონიაში მყოფი ტოტალიტარიზმი კვლავ ცდილობს გამოიყენოს ტყუილისა და მუხანათობის ინსტრუმენტები. დაფარავს თავისი იმპერიული ზრახვები მშვიდობისმოყვარეობისა და რომელიღაც ეთნოეროვნული ჯგუფების დაცვის საფარველით, იყენებს ორმაგ სტანდარტებს, ხელს უწყობს რა ერთის მხრივ ექსტრემიზმს, ხოლო მეორეს მხრივ პირფერულად აღიარებს ტერიტორიული მთლიანობისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების საზღვრების ურღვეობის პრინციპების ერთგულებას.

(დასასრული მე-2 გვ.).

ნომერში

⊙ თბილისიდან წალკამდე დიდგორის გავლით. 3

⊙ შეფასებულია 100 ათას ამერიკულ დოლარად. 4

იქნება ერთობა—იქნება დამოუკიდებელი საქართველო

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

29 ივნისის პარლამენტის სხდომამ მუშაობა გააგრძელა წინა კვირას მიღებული ახლებური წესით, როცა პარლამენტარებს საშუალება აქვთ გაეცნონ მთელი კვირის დღის წესრიგს. ამას პარლამენტის სპიკერმა ახალი ტრადიციის დამკვიდრება უწოდა. ერთხმოვნად დამტკიცდა დღის წესრიგი.

სხდომამ მოისმინა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ინფორმაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ბელგიაში საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტის შედეგების შესახებ.

— ამ ვიზიტზე უკვე ბევრი რამ დაიწერა პრესაში, ბევრი აზრიც გამოითქვა, ამიტომ ზოგიერთ საკითხზე შევჩერდები, — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობის დამყარებას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას. მით უმეტეს, რომ ეს ორგანიზაციები დღეს დიდ როლს ასრულებენ საერთაშორისო ცხოვრებაში, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ რეგიონული კონფლიქტების მოგვარებაში. ამ თვალსაზრისით, აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ, ნატოში ვიზიტს სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება. თუმცაღა ცივი ომი დამთავრდა, ჯერჯერობით უსაფრთხო და სტაბილურ ევროპაზე ლაპარაკი ნაადრევია, ამას თავისი საფუძველი აქვს. ნატოს არ დაუკარგავს თავისი უნიკალური მნიშვნელობა და ეს ორგანიზაცია კვლავ რჩება ევროპის უსაფრთხოებისათვის თავისებურ გარანტად.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ილაპარაკა ნატოს გენერალურ მდივანთან მანფრედ ვერნერთან, გენერალ ჯონ მალხაზ შალიკაშვილთან, საბჭოს გაერთიანებული სხდომის მონაწილეებთან შეხვედრებზე და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ნატოს ხელმძღვანელობის მხრიდან იგრძნობოდა იმ პრობლემების სრული გაგება, რომლებიც დღეს საქართველოს წინაშე დგას. კერძოდ, მიღწეულია შეთანხმება, რომ შემოდგომაზე თბილისში გაიმართოს საერთაშორისო სემინარი მცირე სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების უფლების დაცვის შესახებ. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ისაუბრა ბელგიის სახელმწიფოს ხელმძღვანელობასთან გამართულ შეხვედრებზე, იქ ხელმოწერილ დოკუმენტებზე, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საქართველო-ბელგიის მრავალმხრივ ურთიერთობას.

რაც შეეხება იმ საკომუნიკაციო დერეფანს, რომელმაც საქართველოზე უნდა გაიაროს და დასავლეთი დააკავშიროს აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებს, მათ შორის ცენტრალურ აზიასა და სპარსეთის ყურეს, ამ პროექტის ამოქმედება უცილობლად შეესაბამება გერმანიის ინტერესებსაც, რადგანაც ეს დერეფანი საშუალებას მისცემს მას უფრო მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირები დაამყაროს დასახელებული რეგიონების ქვეყნებთან.

გერმანიის ხელმძღვანელების მხარდაჭერას და თანადგომას, რაც გამოიხატა ხელმოწერილ დოკუმენტებში, პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. გერმანია მზად არის ჩადოს კაპიტალი ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში, მაგრამ უცილობელი პირობა ამისათვის არის ის, რომ ჩვენ წარვუდგენთ იქაურ საქმიან წრეებს დასაბუთებულ, არგუმენტირებულ, საქმის ღრმა ცოდნით გამორჩეულ პროექტებს.

პარლამენტის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო აგრეთვე უკრაინის პრეზიდენტთან შეხვედრისა და საუბრის ძირითადი საკითხები. სახელმწიფოს მეთაურის ინფორმაციის განხილვამ კონსტრუქციულად ჩაიარა.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მრავალ შეკითხვას უპასუხა.

აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ სხდომაზე ისაუბრა აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა. მან დაწვრილებით ისაუბრა იმ შემზარავ შედეგებზე, რომლებიც ამ ბოლო დღეებში მოჰყვა სოხუმის ბარბაროსულ დაბომბვას. აფხაზეთში შექმნილი ამჟამინდელი სიტუაცია უმძიმესია და საჭიროა ყველა ჩვენგანის ერთობლივი ძალისხმევა, რათა ომი უმოკლეს ვადაში ღირსეულად დამთავრდეს. მაგრამ ამისათვის საჭიროა პოლიტიკური სტაბილიზაცია, რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის საბოლოო გარკვევა. თუ იქნება ერთობა — იქნება დამოუკიდებელი საქართველო. ეს იყო ძირითადი ლაიტმოტივი ყველა გამოსვლისა. პარლამენტარები გულისტკივილითა და აღელვებით ლაპარაკობდნენ აფხაზეთზე, იმ გაჭიანურებულ კონფლიქტზე, რომელმაც შეიწირა მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე. პარლამენტის სხდომათა დარბაზის ფოიეში მოწყობილმა ფოტოგამოფენამ ერთხელ კიდევ დაადასტურა დარბაზში წარმოთქმული სიტყვების ჭეშმარიტება.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

პარლამენტის წევრი **ზურაბ ქველაძე** არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის წევრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 29 ივნისი.

პრესკონფერენცია მოსკოვის შეხვედრების შედეგებზე

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში პრესკონფერენცია გამართა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ **ალექსანდრე კავსაძემ.**

საუბარი ძირითადად ეხებოდა მოსკოვში გამართული სამმხრივი (ქართულ-აფხაზურ-რუსული) მოლაპარაკების საკონსულტაციო შეხვედრის შედეგებს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რამაზ კლიმიაშვილი, გაეროს შეიარაღებული ძალების სამხედრო მეთვალყურე პიერ კორსტრომი, გაეროს წარმომადგენელი საქართველოში თეოდორ სტარჩევიჩი.

აფხაზების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს კონფლიქტის მოგვარების საკუთარი გეგმა. მათ ცეცხლის შეწყვეტის გარდა ითხოვეს კომისიის შექმნა.

საქართველოს დელეგაციამ მოითხოვა ხელშეკრულების ახლებური ფორმულირება, მაგრამ მათ მაინც უარი თქვეს.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების შეკითხვებს პასუხი გასცა ბატონმა ალექსანდრე კავსაძემ. დასასრულს მან აღნიშნა, რომ საჭიროა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწორი ინფორმაციის გავრცელებას და მსოფლიოს ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სთხოვონ, ყველა საშუალებით ჩაერიონ კონფლიქტის მოგვარებაში.

იზა ჯაჭვაძე.

ჰანს-დიტრიხ გენშერის სიტყვა

(დასასრული)

თუ რას ნიშნავს მისთვის სამშობლო, განსაკუთრებით კარგად მაშინ ვიგრძენი, როდესაც ჩემი მშობლიური ქალაქი ჰალე მოვინახულეთ, როდესაც იმ სახლის წინ ვიდექით, სადაც მე დავიბადე, როდესაც იმ სკოლაში ვიყავით, სადაც მე ვსწავლობდი, როდესაც აღფრთოვანებით შეგვხვდა ჰალეს მრავალი ათასი მკვიდრი, რომელთაც მადლობის გადახდა სურდათ იმისთვის, რაც მან გერმანიისა და მთელი მსოფლიოსთვის გააკეთა.

მაშინ მისი აზრები მის სამშობლოს დასტრიალებდნენ. სამშობლოს ფესვებმა მისცეს ედუარდ შევარდნაძეს ძალა მისი პოლიტიკური აღმავლობისათვის. ის მის მოსკოვისდროინდელ მოღვაწეობასაც ეხება.

საქართველოში მდებარეობს ხალხებისა და ცივილიზაციების გადაკვეთის ძველი გზაჯვარედინი, ადგილი, სადაც ერთმანეთს სხვადასხვა კულტურა და რწმენა ხვდებოდა.

საქართველო ყოველთვის იყო ამა ქვეყნის ძლიერთა სტრატეგიული ინტერესებისა და მათი კამათის ობიექტი. საქართველო ამ დროს ყოველთვის ევროპის გულს მიაპყრობდა ხოლმე მზერას. ის საქართველო, რომელიც ევროპასთან ასეთ დიდ შინაგან კავშირს გრძნობდა და რომელსაც ის ევროპა ზოგჯერ იმედგაცრუებული გოდებდა, ამ საუკუნეშიც კი, ის საქართველო, რომელმაც ასეთი კვალი დააჩნია ედუარდ შევარდნაძეს.

ვისაც კი გაუცნობიერებია ამგვარი წარმომავლობა, მან კარგად უწყის მნიშვნელობა სხვადასხვა ერების წარმომადგენელთა დამოკიდებულებისა, მნიშვნელობა სახელმწიფოთა და რეგიონთა დამოკიდებულებისა. მან უწყის ხალხების მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობა, როგორც წანამძღვარი საკუთარი ერის აყვავებისა და განვითარებისათვის. ედუარდ შევარდნაძე ეკუთვნის 80-იანი წლების საბჭოთა კავშირში მომხდარი ძირფესვიანი ცვლილებების განმჭვრეტელთა და განმახორციელებელთა რიცხვს.

ჯერ კიდევ ამ აზრების ხორცშესხმამდე დიდი ხნით ადრე ე. შევარდნაძემ მიხეილ გორბაჩოვთან პირად საუბარში საბჭოთა კავშირში მდგომარეობის ჰუმანიზირების, ძირფესვიანი ცვლილებების აუცილებლობა აღნიშნა და კაცობრიობის ძირითადი ღირებულებებისაკენ შემობრუნება მოითხოვა.

დაუვიწყარი დარჩება ჩემთვის კავკასიაში შეხვედრა იმ დღეს, როდესაც იმ წინააღმდეგობათა გადალახვის შედეგი, რომლებიც გერმანიის გაერთიანებას გარედან უშლიდნენ ხელს, საბოლოოდ დამტკიცდა.

მაშინ სწორედ მიხეილ გორბაჩოვმა გაახსენა ყველას 1982 წლის გაზაფხულზე გამართული საუბარი, როდესაც ე. შევარდნაძე მას თბილისში ვიზიტად ჩამოსულ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ავღანეთში ომის დაწყების პასუხისმგებლობაზე და ახალი გზების არჩევის აუცილებლობაზე ელაპარაკა.

ჩვენ გვესმოდა მაშინ, რომ ე. შევარდნაძეს ერთი იდეა წარმართავდა და იმასაც კანტთან მივყავართ — რომ პოლიტიკა მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმატებით სარგებლობდეს, თუ მის საფუძველს მორალური ღირებულებები წარმოადგენენ, მხოლოდ ასეთი პოლიტიკაა ადამიანის ღირსების შესაფერისი. ასე შეიძლება შეიცნო ე. შევარდნაძე. როდესაც მას მისი ქვეყნის პრობლემებზე, ჩვენი ქვეყნის პრობლემებზე, ცალკეულ ადამიანთა ბედზე ესაუბრები.

დაუვიწყარ შეხვედრათა რიცხვს განეკუთვნება მასთან საუბრები — 1989 წლის სექტემბერში ნიუ-იორკში, როდესაც პრაღაში გერმანიის საელჩოში ვითარება უფრო და უფრო უმართავი ხდებოდა და როდესაც მე მას ვთხოვე, ჩარეულიყო, ეშველა, შესაძლებელი გაეხადა საელჩოში მყოფი ადამიანების ქვეყნიდან გამგზავრება.

იმ დროს, როდესაც სიტუაციას აღვუწერდი და ვარწმუნებდი მოქმედების აუცილებლობაში, მან შემომხედა და მკითხა: „რამდენი ბავშვია მათ შორის?" მე ვუპასუხე, რომ ძალიან, ძალიან ბევრი. და აქ შეწყდა არგუმენტების მოყვანის აუცილებლობა, მან უბრალოდ თქვა: „ყველაფერს გავაკეთებ საკითხის სასწრაფოდ გადასაწყვეტად".

მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვები კი არ იყო, ამას მოქმედებაც მოჰყვა. ვნატრობდი, რომ პრაღაში გერმანიის საელჩოს აივანზე ისიც მდგარიყო ჩემთან ერთად, როდესაც მწუხარე და მოიმედე ადამიანებმა შეიტყვეს, რომ გზა ხსნილია.

ნიუ-იორკის შეხვედრა ე. შევარდნაძეზე, როგორც ადამიანზე, უფრო მეტს მეტყველებს, ვიდრე ამას შეძლებდა მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობის აღწერა. მისთვის ყოველთვის გადამწყვეტი იყო ადამიანობა და არა პრინციპები, როგორ ხმამაღლადაც უნდა ჟღერდნენ ისინი.

ათწლეულის ნახევარზე ცოტა მეტ ხანს — 1985-დან 1990-მდე ხელმძღვანელობდა ე. შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას.

ამან განაპირობა ძირეული ცვლილებები, გარდაქმნისა და საჯაროობის ნიშნით მიიღო ამ საგარეო პოლიტიკამ აბსოლუტურად ახალი ორიენტაცია, ეს არ იყო ტაქტიკური ცვლილება ან მხოლოდ ცალმხრივი უპირატესობის ძიება ახალი მეთოდებით, როგორც ამას ზოგი გორბაჩოვს მიაწერდა, არამედ ის იყო საბჭოთა კავშირის შიგნით და გარეთ ახალ მსოფლმხედველობაზე დამყარებული პოლიტიკა.

ჰელსინკში უკვე ჩვენი პირველი შეხვედრის დროს, ჰელსინკის ხელშეკრულების ხელმოწერის ათ წლისთავთან დაკავშირებით, ჩემს წინ დავინახე ადამიანი, რომელიც განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირის იმ წარმომადგენლებისაგან, ვისთანაც აქამდე მქონია საქმე.

ის ისე კი არ წარმომიდგა, როგორც მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის, საგარეო საქმეთა მინისტრი, არამედ, როგორც ადამიანი, რომელმაც იტვირთა სრულიად ახალი მოვალეობა, რომელმაც იცის, თუ რა მძიმეა ეს ახალი მოვალეობა, მაგრამ რომელიც არ ცდილობს ისეთი შთაბეჭდილების მოხდენას, თითქოს დასრულებულ კონცეფციას ფლობს და ყველაფერი იცის. არა, მან თქვა: „მე ვიცი, რომ თქვენ კარგი სამუშაო ურთიერთობა გქონდათ ჩემს წინამორბედთან, ასეთი ურთიერთობა მსურს ჩემთანაც გქონდეთ.

ნუ მოელით იმას, რომ ჩემს პოლიტიკურ შეხედულებებს წარმოგიდგენთ, მაგრამ მე დაინტერესებული ვარ გავიგო თქვენგან, როგორ წარმოგიდგენიათ ევროპის შემდგომი განვითარება და შესაძლებლობები".

ეს არის კაცი, რომელსაც მოსმენა შეუძლია, რომელიც სერიოზულად აღიქვამს იმას, რასაც სხვა ამბობს. ასე იყო მაშინაც, როდესაც მას 1988 წლის სექტემბერს მაშინდელ გდრ-ში ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ ტენდენციებზე ვესაუბრე, როდესაც მან თქვა, რომ ამის შესახებ გორბაჩოვთან დალაპარაკება სურს.

ეს ის კაცია, რომელიც იძიებდა და რომელიც, რა თქმა უნდა, ნდობას იძიებდა იმათთან, ვისაც ხვდებოდა. ასე დაიმსახურა ედუარდ შევარდნაძემ მსოფლიოს ნდობა თავისთვის, თავისი პოლიტიკისათვის და საბოლოოდ, თავისი ქვეყნისათვის.

ჩვენი შეხვედრების რიცხვი უსასრულოა.

მიზეზები სხვადასხვა იყო, გარემოებებიც — ასევე და მაინც არის შეხვედრები, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან.

ამათგან ორზე უკვე ვილაპარაკე — ნიუ-იორკის და ჰელსინკის შეხვედრებზე. და შემდეგ შეხვედრა ბრესტში — საბჭოთა კავშირის და პოლონეთის საზღვარზე, ქალაქში, სადაც მისი ძმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჰიტლერის ომის პირველ დღეებში დაიღუპა.

ჩვენ მივედით ძეგლთან, რომლის წარწერაც დაღუპული ძმის მოსაგონარია

აქ ერთად ვიდექით, ერთმანეთს შევყურებდით, ქვეყნის ჩვეულების თანახმად, ყვავილები დავაწყვეთ, განცალკევებით, თითოეულისთვის, რომლის დაღუპვის გახსენება იქ უნდა მომხდარიყო.

ჩვენ ხელი ჩავკიდეთ ერთმანეთს, სიტყვები აღარ იყო საჭირო იმის სათქმელად, რომ ეს ყველაფერი აღარასოდეს უნდა განმეორდეს, აღარასოდეს უნდა გახდეს შესაძლებელი ამის განმეორება.

იქ, იმ ადგილას, სადაც მისი ძმა ჰიტლერის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დროს დაიღუპა, ვისაუბრეთ გერმანიის ერთიანობაზე, საგარეო ასპექტების მოგვარებაზე, უსაფრთხოების პოლიტიკურ წინა პირობებზე, როგორც ადრე ოტავაში, ვინდჰუკში, მოგვიანებით კი მიუნსტერში და სხვა ქალაქებში. ყოველი ამ შეხვედრის დროს ვგრძნობდი იმას, რასაც ოტავაში, როდესაც „2+4" ხელშეკრულებაზე ვთანხმდებოდით: ეს კაცი მძიმე გზას ადგას, ეს კაცი ადგას გზას, რომელიც მისგან იმას ითხოვს, რაც ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება, რადგანაც კავშირს წყვეტს საბჭოთა პოლიტიკასთან, რომელიც ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა კავშირის მოქმედებას განსაზღვრავდა.

რადგანაც იგი კავშირს წყვეტს ამ პოლიტიკასთან და ამით მოსკოვში მრავალი ძალის დაპირისპირებას იწვევს, იგი კარს უღებს მთელი ევროპის ახალ მომავალს. მას გულს სტკენდა ის, რომ მისი შეხედულებების სიწმინდე, მისი ღრმა ზნეობრივი და პატრიოტული გრძნობები საბჭოთა კავშირში ბევრს არათუ არ ესმოდა, არამედ ბევრ რამეში ადანაშაულებდნენ კიდეც, მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

როდესაც ჰალეს რატუშის წინ აღფრთოვანებული მიღების შემდეგ კვლავ მანქანაში ვისხედით და ჩემს სკოლისკენ მივემართებოდით, მან ჩემი ხელი აიღო და თქვა — და ის მე ნებას დამრთავს, რომ დღეს ამ საზოგადოებაში გავიმეორო: „ძალიან მინდა, რომ მეც ჩემს სამშობლოში ასე შემხვდნენ". ვუსურვებ მას, რომ ეს შესაძლებელი გახდეს.

ე. შევარდნაძის მიერ 1990 წლის 20 დეკემბერს საბოლოო დასკვნების გაკეთებას სიმწრის გრძნობაც ახლდა თან. თავისი გადადგომით მან მიანიშნა, უნდოდა მიეთითებინა იმ საშიშროებებზე, რომლებიც ემუქრებოდნენ მაშინდელი საბჭოთა კავშირის ახალ კურსს. შემდეგ ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, მის ბინაში მოსკოვში, ისევე, როგორც ერთმანეთს ვხვდებოდით, როდესაც ის ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ისევე როგორც მე ვმასპინძლობდი მას ჩემს სახლში, ბონში.

მე ვგრძნობდი, როგორ დარდობდა იგი მის სამშობლოში — საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო. მან მკითხა, რას ვიზამდი მის ადგილზე, მან თქვა, რომ მას საქართველოში დასაბრუნებლად უხმობდნენ.

მე ვუთხარი: „ეს ძახილი უნდა შეისმინოთ".

და მე ვიცი, რომ თქვენ ეს უკვე გადაწყვიტეთ, რადგანაც ჩემს სამშობლოში ჩვენი ყოფნის დროს მე დავინახე, თუ რას ნიშნავს თქვენთვის თქვენი სამშობლო, ისევე, როგორც თქვენ მიხვდით, თუ რას ნიშნავს ჩემთვის ჩემი სამშობლო, რომელიც თქვენ დამიბრუნეთ.

ასე დაბრუნდა ის ქვეყნისათვის თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ საქართველოში.

მან ეს მოვალეობა იკისრა ისეთ პირობებში, ისეთი პრობლემების დროს, როდესაც მას არ შეეძლო დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მათთან გამკლავებას შეძლებდა. მაგრამ მან ეს მოვალეობა იკისრა თავისი სამშობლოს გამო, კანონიერების, თავისუფლებისა და ადამიანური ღირსებისათვის, იმ ფასეულობებისთვის, რომლებიც მისთვის, მართალია, მთელი ცხოვრების განმავლობაში მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ შემდგომში უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენდნენ მის პოლიტიკურ საქმიანობაზედაც და რომელთა გარეშეც გაუგებარი იქნებოდა მის მიერ გარდაქმნისა და საჯაროობის პოლიტიკის წარმართვა საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ისევე როგორც ევროპის, გერმანიისა და ბერლინის გახლეჩის დაძლევის საგარეო პოლიტიკის წარმართვა.

ე. შევარდნაძემ, როგორც საბჭოთა კავშირის ახალი მთავრობის წევრმა, 1985 წლის შემდეგ ისტორიულად უდიდეს შედეგებს მიაღწია. მისი ხელშეკრულებით გახდა შესაძლებელი ევროპის გაერთიანება. ჩვენი, გერმანელების ერთ სახელმწიფოში ცხოვრება, პარიზში ახალი ევროპის ისტორიული დოკუმენტის ხელმოწერა, რომელიც ევროპის ყველა ხალხს თავისუფლების, ადამიანური ღირსების, დემოკრატიისა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის დაცვას ავალებს.

მან მიხეილ გორბაჩოვთან ერთად მართლაც რევოლუციური გარდაქმნები შემოიტანა ევროპაში.

ეს მოვლენების ისეთი განვითარება იყო, რომელიც თავისი მნიშვნელობით უფრო ღრმაა, ვიდრე ლენინის 1917 წლის რევოლუცია იყო.

ეს მოვლენების ის განვითარებაა, რომლის უკან მობრუნებაც ყველა პრობლემის, დაძაბულობისა და უკუშეტევების გათვალისწინებით, უკვე დიდი ხანია აღარ შეიძლება.

ეს ის განვითარებაა, რომელსაც ველარ შეაჩერებენ მოვლენები ვერც საქართველოში, ვერც საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში და ვერც ყოფილ იუგოსლავიაში. ეს ის განვითარებაა, რომელმაც საბოლოოდ გაუხსნა გზა ევროპის ხალხების იმედს.

მე მას ვუსურვებ, შეძლოს თავის ქვეყანაშიც იმ ღირებულებების ხორცშესხმა, რომლებიც ჩვენ პარიზში შევათანხმეთ.

მე ვიცი, როგორ განიცდის იგი იმ ფაქტს, რომ ყოველივე ამის ხორცშესხმა ყველგან ჯერ ვერ მოხერხდა.

დღევანდელი დაჯილდოება იმის აღიარებაა, რაც ედუარდ შევარდნაძემ გააკეთა.

ეს განხორციელებაა დიდი ადამიანის მიმართ გერმანელების მადლიერების გრძნობისა.

მაგრამ ჩვენი მოვალეობა გრძელდება.

თუ ჩვენ გვინდა პატივი მივაგოთ ყოველივე იმას, რაც მან გააკეთა ევროპისათვის, მაშინ ჩვენ, როგორც ევროპის გულში მცხოვრებმა გერმანელებმა, მთელ ევროპაში არსებულ წინააღმდეგობათა დასაძლევად უნდა ვიღვაწოთ, ჩვენ იმისათვის უნდა ვიღწვოდეთ, რომ მოვლენების დრამატული განვითარება ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში სტაბილური პირობების ჩარჩოებში მიმდინარეობდეს.

ჩვენ იმისათვის უნდა ვიზრუნოთ, რათა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმა იგრძნონ: ევროპამ მათკენ პირი ქნა და აღარ არის შემობრუნებული ზურგით, რომ ევროპა თავის თავში კი არ იკეტება, არამედ ხელს უწვდის მათ, რომ ევროპას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, საკუთარი თავი გაიხსნოს, მიიღოს ევროპის ერთიანობა და ხორცი შეასხას მას.

ეს კი იმის გაგებასაც ნიშნავს, რომ ევროპის დასავლეთში არ შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში სიმშვიდე სუფევდეს, თუ მის აღმოსავლეთ ნაწილში დიდი ხნის განმავლობაში მოვლენები კეთილად არ წარიმართება.

ჩვენ, გერმანელები, მხოლოდ იმით გადავუხდით მას მადლობას, თუ მის საქართველოს ვუშველით დემოკრატიასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში.

ჩვენ გვსურს, მის ქვეყანას, რომელიც ასეთ მჭიდრო კავშირებს გრძნობს გერმანიასთან, რომელსაც ასე ბევრი კულტურული და ისტორიული კავშირები აქვს მასთან, გავუკვალოთ გზა ევროპისკენ, რომელსაც ეს ქვეყანა შინაგანად ყოველთვის მიეკუთვნებოდა.

ამიტომ კანტის ჯილდოს მიკუთვნება არა მარტო ევროპის სახელმწიფო მოღვაწის ედუარდ შევარდნაძის დამსახურების პატივგებაა, არამედ ჩვენი უდიდესი მადლიერებისა და მოვალეობის გრძნობის გამოხატულებაც ამ დიდი ქართველის მიმართ.

დღეს იმ ადამიანს უნდა გადავცე ჩემი კეთილი სურვილები, რომლის შესახებაც სიამაყით შემიძლია ვთქვა: ეს ჩემი მეგობარია.

ვულოცავ ამ ავტორიტეტული და მნიშვნელოვანი ჯილდოს გადაცემას შევარდნაძეს — ევროპელს და შევარდნაძეს — სახელმწიფო მოღვაწეს.

ვულოცავ ადამიანს, რომლისთვისაც ადამიანობა ასე ბევრს ნიშნავს და ახალი ევროპაც, რომლის აღდგენისათვის ედუარდ შევარდნაძემ ამდენი გააკეთა, ადამიანური უნდა იყოს.

ედუარდ შევარდნაძის სიტყვა

(დასასრული)

მოვალედ ვთვლი თავს მორალური პოლიტიკის იმპერატივების შესახებ ვთქვა სწორედ აქ — ბერლინში, რომელიც როგორც ძალისა და ვერაგობის პოლიტიკის უძლურების, ისე დაუმარცხებელ ზნეობაზე დაფუძნებული პოლიტიკის გამარჯვების სიმბოლოც არის.

ძვირფასო მეგობრებო, მე ვიცი, რომ თქვენ დიდი ხანია ჩაფიქრებული გაქვთ მომანიჭოთ ემანუილ კანტის სახელობის პრემია. თქვენ არაერთხელ გამომიგზავნეთ მოწვევა, მაგრამ ყოველთვის რაღაც რთული ვითარება მიშლიდა ხელს მესარგებლა მოწვევით და ჩამოვსულიყავი. ამჯერად, მე ეს მოვახერხე და ვფიქრობ, რომ დროულად. ამით მინდა ვთქვა, რომ უკეთეს დროს ვერ ვისურვებდი ჩემთვის ამ ფრიად საპატიო ჯილდოს მისაღებად.

უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამ ჯილდოს გადმოცემა დაემთხვა ჩვენს ვიზიტს გერმანიაში და საქართველო-გერმანიის დაახლოების ფართო კონტექსტში ჩაჯდა. ჩვენთვის ფრიად ნიშანდობლივია ის, რომ ეს მოვლენა იმ გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის სახელთან აღმოჩნდა დაკავშირებული, რომლის ნააზრევსაც მოაზროვნე ქართველთა არაერთი თაობა ეზიარა.

მეორეც, იმიტომ, რომ სწორედ ახლა, დღევანდელ ვითარებაში ჩემს ქვეყანას ძალიან სჭირდება მხარდაჭერა და დასაყრდენი. მას ახლა უჭირს, ისე როგორც არასდროს, და ეს ჯილდო იმდენად მე კი არა, რამდენადაც ჩემს მშობელ ქვეყანას, რომლის ნაწილადაც მე ვრაცხ თავს, ამხნევებს და მომავლის იმედს აღუძრავს.

და, ბოლოს, კანტის სახელობის პრემია, რომლითაც დღეს, ასეთ დროსა და ასეთ ადგილას, ჯილდოვდება საქართველოს შვილი, მოწმობს იმას, რომ ძლიერდება ევროპული იდეის მომხრეთა და ამ იდეას ნაზიარებ ახალ სახელმწიფოთა კოალიცია. არსებითად, ამ ცერემონიით პასუხი ეძლევა მათ, ვინც ბრალს გვდებს „საბჭოთა კავშირის დანგრევასა" და „გერმანიის გაერთიანებაში".

ვერ დაანგრევ იმას, რის დანგრევაც არ შეიძლება.

არ შეიძლება არ გააერთიანო ის, რაც გაერთიანებას მოითხოვს.

დაუშვებელია ახალი მსოფლიო და ევროპული წესის შექმნა წარმოაჩინო როგორც დამანგრეველი პროცესი. ბედნიერი ვარ იმით, რომ აქ, ახლა შემიძლია ვთქვა: ჩვენ დავიწყეთ გარდაქმნის პროცესი ევროპასა და მსოფლიოში, პროცესი, რომლის დროსაც გერმანია გაერთიანდა, ხოლო საქართველომ დამოუკიდებლობას მიაღწია.

ჩემი ძვირფასი მეგობრის ჰანს დიტრიხ გენშერის შემდეგ მოხარული ვარ გავიმეორო თომას მანის სიტყვები: „გერმანული ევროპა კი არა, ევროპული გერმანია", რომლებშიც მინდა ყოველი ქართველისათვის იდუმალი და ძვირფასი აზრი ჩავაქსოვო, რადგან როგორც დასავლეთის ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილი, საქართველო ყოველთვის ისწრაფოდა ყოფილიყო ევროპელი ხალხების ოჯახში, კანცლერ ჰელმუტ კოლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი გაერთიანებული ევროპა ჩვენი მომავალიც არის.

თუმცა, ამისათვის კიდევ დაგვჭირდება ბრძოლა. 1989 წელს დაიწყო ბერლინის კედლის ნგრევა, ახლა კი მის ნაცვლად ახალი კედლები აღიმართება, მაინც და მაინც ქვისა და ბეტონის კი არა, მაგრამ კვლავ სიძულვილითა და ძალადობით გამაგრებული. ერთი კედლის დანგრევა ცოტა აღმოჩნდა — საჭიროა წარმოქმნილი სივრცეების გათავისუფლება იმისაგან, რაც ისევ ყოფს ადამიანებსა და ხალხებს, თუ ეს არ გაკეთდა, ევროპა დარჩება წარსულის ურჩხულის კლანჭებში და დამოკიდებული იქნება ერთ რომელიმე „გასროლაზე სარაევოში".

ადამიანებმა და კაცობრიობამ კვლავაც უნდა აითვისონ კანტისეული შემეცნებისა და რწმენის, პასუხისმგებლობისა და თავისუფლების ფუნდამენტური კატეგორიები. მარადიული მშვიდობა. ჩვენ საბოლოო მიზნად რჩება.

მე ისე ვერ მივიღებ ემანუილ კანტის სახელობის პრემიას, თუ არ მოვიშველიე მის მიერ დადგენილი ზნეობრივი და სულიერი კანონები.

მით უფრო მიადვილდება ამაზე ლაპარაკი, რომ აქაც და ჩვენი პლანეტის სხვა ადგილებშიც ვხვდები ადამიანებს, რომლებსაც ჯერ კიდევ აოცებთ ვარსკვლავიანი ცა ჩვენს ზემოთ და ზნეობრივი კანონი ჩვენში.

ქალბატონებო და ბატონებო,

უდიდესი მადლობა ასეთი მაღალი პატივისათვის. მადლობას გიხდით ჩემი სამშობლოსა და ჩემი ხალხის სახელით. ვიმყოფები რა აქ, მინდა ვუთხრა მას: მოსახდენი აუცილებლად მოხდება, როგორც ეს უკვე მოხდა და ოდესღაც ხალხისათვის დახურული ბრანდენბურგის ჭიშკარი ფართოდ გაიღო, გაერთიანდა ჩვენი მეგობრების ერთ დროს ორად გახლეჩილი ქვეყანა — გერმანია. ყოველივე ეს მოხდება იმ პირობით, თუ ჩვენი თავისუფლება განმტკიცდება სამართლით, რომელშიც პიროვნების თავისუფლება შერწყმული იქნება საზოგადოების თავისუფლებასთან.

სოფელს მივხედოთ, სოფელს!

ფოთოლი გაუხეშდა, არ კრეფენ...

ლანჩხუთი. დადგა ჩაის ფოთლის კრეფა-გადამუშავების გადამწყვეტი დღეები. ბევრი მკრეფავი სანაქებო შედეგებსაც აღწევს, ერთგვარი გამოცოცხლება, საქმით დაინტერესება იგრძნობა ჩაის გადამამუშავებელ ფაბრიკებში.

მაგრამ რაიონში ყოფნის დროს სერიოზულ ნაკლოვანებებსაც წავაწყდით, რომელთა უსწრაფესად გამოსწორება დღეისთვის საშური საქმეა.

სოფელი მამათი ჩაის ერთ-ერთი დიდი დამამზადებელია, საკუთარი ჩაის ფაბრიკა ვერ აუდის მოზღვავებული ფოთლის გადამუშავებას. ადრე დილით ვეწვიეთ მამათელებს, ფაბრიკის ეზოში ფოთლით დატვირთული 3 სატვირთო ავტომანქანა იდგა, როგორც იქ გვითხრეს, მანქანებზე წინადღით ნაკრეფი ნედლეული იყო. წარმოების ტექნოლოგმა ტარიელ ბერიძემ არ დაგვიმალა, პლანტაციებში ტონობით მოკრეფილი ფოთოლი ყრია, ვერ აუდიან მის გაზიდვას, ფაბრიკა ახლაც არ მუშაობს ელექტროენერგიის გამორთვის გამო. ხვალ და ზეგ უსაწვავობის გამო მოკრეფილ ფოთოლსაც ველარ ვუპატრონებთო.

მამათელთა პლანტაციები მოვინახულეთ, შევხვდით მოწინავე მეჩაიეს თინა ჩხაიძეს, რომელიც თავად მოგვიყვა მეჩაიეთა სატკივარზე.

— ხედავთ? ფოთოლი გაუხეშდა ბუჩქებზე, — დაუგვიანდა ფოთოლს...

ხედავთ იმ ფარღალალა შენობას, — ხელით მიანიშნა ბექობზე მდგარი ჩაის პუნქტისაკენ, — იქ თითქმის ერთი კვირის წინათ ნაკრეფი ტონობით ფოთოლი ყრია და მზე ახმობს, ფაბრიკაში მოსატანად არც კი ღირს; ხარისხი დაკარგული აქვს, არა და, გაგანია მზის ქვეშ ვმუშაობთ, ლერა-ლერად მოკრეფილ ერთ კილოგრამ ნედლეულში მოგვეცემა 2.500-3.000 დუყია. მართალია რაიონის ხელმძღვანელობა დიდ გასაჭირშია, სანთლით დაეძებენ ბენზინს, მაზუთსა და სხვა საშუალებებს, მაგრამ უშედეგოდ. თუ დროზე მოგვაშველებენ, ხომ კარგი, თუ არა და მეჩაიეებმა რა დავაშავეთ? ფოთოლს კი ვკრეფთ, მაგრამ პლანტაციაში რჩება. განმკითხავი კი არავინ არის!

ანალოგიური მდგომარეობა გვიხვდა რესპუბლიკაში ერთ-ერთ ძველთაძველ, აცანის ჩაის ფაბრიკაში. აცანელ მეჩაიეებს ოჯახებში აქვთ თავმოყრილი რამდენიმე დღის წინათ მოკრეფილი ტონობით ნედლეული.

სოფელ ლესის ჩაის ფაბრიკის დირექტორმა მურმან მშვიდობაძემ ჩვენთან საუბარში თქვა: — პეშვობით ვაგროვებთ მაზუთს, დიდი გაჭირვებით ვშოულობთ აჭარაში, მხოლოდ რუსულ ფულს ვუხდით, კუპონებს სათოფედ არავინ ეკარება, არა და, ფოთოლი პლანტაციებშივე უხეშდება, სად წავიღოთ?

ასეთივე მდგომარეობა ვნახეთ ნიგვზიანსა და სხვა სოფლებში.

მიუხედავად ჯერ კიდევ შემორჩენილი ენთუზიაზმისა, კრეფის ტემპი მაინც დაბალია, ყოველდღიურად 100-150 ტონამდე ფოთოლი იკრიფება, არადა, გათვალისწინებული 12 ათასი ტონა ნედლეული რომ დაამზადონ სეზონში, საშუალოდ დღეში 300-400 ტონა ფოთოლი უნდა მოკრიფონ. შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.031 ტონით ნაკლები ფოთოლია დამზადებული, ხოლო ზემოშუხუთისა და ქვემოშუხუთის მეჩაიეებს ჯერაც არ დაუწყიათ ფოთლის კრეფა. კრეფა დაბალი ტემპით მიმდინარეობს შრომისუბნის, წყალწმინდის, მოედანის, ნინოშვილის, ორაგვისღელის, ლანჩხუთის, ნიგოითის საზოგადოებრივ მეურნეობებში.

მეჩაიეობაში ჩამორჩენა ერის საზიანო საქმეა. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ქართულ ჩაის ბევრ ქვეყანაში მოელიან, სანაცვლოდ სურსათსანოვაგესა და სხვა ჩვენთვის აუცილებელ საქონელს გვთავაზობენ.

რაკი სიტყვა საქონლის გაცვლაზე ჩამოვარდა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ შარშან რაიონის ჩაის ფაბრიკებმა რესპუბლიკის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, დიდძალი პროდუქცია გაყიდეს. ფაბრიკის ხელმძღვანელებს ხომ შეეძლოთ საწვავი თუნდაც ორმაგ ფასებში შეეძინათ და მოემარაგებინათ, ახლა ასეთი სავალალო მდგომარეობა არ იქნებოდა.

ჩაის მრეწველობის დარგში სეზონის დავალება არა თუ ლანჩხუთში, მთელ გურიის რეგიონში ჩაიშლება, რესპუბლიკის სათანადო ორგანოებმა გადამჭრელი ზომები თუ არ მიიღეს.

ბეგლარ ჩხაიძე.

მოსავალს კარგი პირი უჩანს, თუ...

მარნეულის რაიონში კარგად გარჯილან — ათეულ და ასეულ ჰექტარზე უთესიათ კარტოფილი, კომბოსტო, ხახვი, შაქრის ჭარხალი თუ ხორბალი. მოსავალს კარგი პირი უჩანს და ეს დიდად სასიხარულოა, მით უმეტეს დღევანდელ პირობებში... მაგრამ ნათქვამია, — „მოსავალი ის არის, რაც ბეღელშიაო".

როგორც რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ილია დარბაიძემ გვითხრა, დღედღეზე დაიწყება კარტოფილის ამოღება და წლეულს ათი ათასამდე ტონა მოსავლის მიღებას ვვარაუდობთო. მაგრამ თბილისისა და რუსთავის სავაჭრო ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ დაუდიათ ხელშეკრულებები რაიონის სახელმწიფო მეურნეობებთან მოსავლის დროულად გატანაზე. არადა, ამ ქალაქების მოსახლეობის ძირითადი მომმარაგებლები მარნეულელები არიან.

ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარემ წოდარ მუმლაძემ აღნიშნა, რომ კარტოფილს, ხახვს, კომბოსტოს და სხვა კულტურებსაც გაცილებით იაფად მივყიდით მოსახლეობას, ოღონდ ორგანიზებულად გაიტანონ ჭირნახული, შარშანდელი არ განმეორდესო. თურმე სავაჭრო ორგანიზაციებს შარშან ხელშეკრულებები გაუფორმებიათ, მაგრამ ათას ხუთასი ტონა კომბოსტო და მოსავლის დიდი რაოდენობა მინდორში დარჩენილა და დაღუპულა. ამის გამო წყალში ჩაიყარა ადამიანის შრომა და სარჩო-საბადებელი, ხალხს კი ასე უჭირს.

ღმერთმა დაიფაროს, რომ წელსაც იგივე განმეორდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, საამისო ნიშნები უკვე არის. არადა, მარნეულელებმა წლეულს შეუძლებელი შეძლეს — კატასტროფულად გაძვირებულ საწვავსაც შოულობდნენ, შხამქიმიკატებსაც და სანთლით საძიებელ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სათადარიგო ნაწილებსაც. გაჭირვების ჟამს აქაურებს ყოველთვის უმართავენ ხელს კარის მეზობელი აზერბაიჯანელები. ილია დარბაიძემ სინანულით აღნიშნა, რომ რაიონში აღარა გვაქვს ყოფილი საბჭოთა ფულის ნიშნები, ჩვენი კუპონები კი აზერბაიჯანში არ გადის და მომავალში რა გზას დავადგეთ, როგორ შევიძინოთ საწვავი არ ვიცითო.

ხსნისთვის მართლაც ერთ-ერთი, ერთადერთი თუ არა, ის გზაა, რომელიც მარნეულის სარაიონთაშორისო საარენდო ბაზის დირექტორმა გიორგი წოწორიამ გვითხრა — აუცილებელია რუსეთთან ეკონომიკური კავშირი, რადგან ძირითადად რუსეთის ქალაქებიდან ვიღებთ მანქანა-ტრაქტორებს, კომბაინებს და თითქმის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. ადრე ჩვენი ბაზა ვერ აუდიოდა ამ ტექნიკის მიღებასა და გაცემას, მაგრამ ეს ორი წელია, რაც რუსეთთან გაწყდა ეკონომიკური კავშირი, ჩვენი ბაზა დაცარიელებულია და ასე რომ გაგრძელდეს დავიღუპებითო.

დაღუპვა ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ იქნებ ჯობდეს, ყურად ვიღოთ პრაქტიკოსი ადამიანების რჩევა-დარიგება? ეს სამომავლოდ. დღეს კი, მარნეულის რაიონში უკვე იწყება მოსავლის აღება და სავაჭრო ორგანიზაციებმა, ფირმებმა თუ ასოციაციებმა, ყველამ უნდა შევაწყოთ ხელი აქაურ მშრომელებს, რომ ზღვა მოსავალი არ დავღუპოთ და დროულად მივაწოდოთ თბილისის, რუსთავისა თუ სხვა ქალაქებისა და რეგიონების სავაჭრო ორგანიზაციებს.

გიორგი ირემაშვილი.

უდაბნოს ჭირნახული გველუპება

დღეს მთელ საქართველოს უჭირს...

იმედის თვალით ვუყურებთ სოფელს, იქიდანაც არაფერი გვესმის სანუგეშო. გაზაფხულიდანვე ცუდი კლიმატური პირობები შეიქმნა. გაუჭირდა ჩაის მწარმოებელ და გადამამუშავებელ მრეწველობას. უკვე რამდენჯერმე დაისეტყვა კახეთი და გაპარტახდა ზვრები...

საქართველოს ძალიან უჭირს, ათას რაღაცაში უჭირს.

ყოველი მარცვალი პურეული ჰაერივით გვჭირდება. ქერისა და ხორბლის ყანები შემოვიდა, ჩვენ კი ბენზინი და დიზელის საწვავი არა გვაქვს. ჭირნახული გველუპება.

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ და მარცვლეული როგორმე დავაბინაოთ. განსაკუთრებული ყურადღება კი სოფელ უდაბნოს უნდა მივაქციოთ. რატომ? არა მგონია, ვინმეს ამგვარი შეკითხვა დაებადოს, მაგრამ თუ მაინც წამოიჭრება, იმათ ვეტყვით, რომ გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ჩვენი კულტურული ცხოვრების მატიანეა, რომ სულ ახლახანს ჩვენი ერისკაცების დიდი გარჯა და ძალისხმევა დასჭირდა უდაბნოში სოფლის აშენებას, სარწყავი სისტემის გაყვანას, იქ მესხეთიდან და სვანეთიდან ქართველების ჩამოსახლებას. დღეს ყველას ძალიან გვიჭირს, მაგრამ საქართველოში ერთ სიბრტყეზე ვერ დაიდება ღონიერი სოფლების და ახლახანს აშენებული სოფლის, უდაბნოს გაჭირვება. ღმერთმა ნუ ქნას და, პურეულის მოსავალი რომ ვერ ავიღოთ, ვერც უდაბნოს ბარე 50 ათას სულ ცხვარს ვუპატრონებთ. არ გვეყოფა ცხვრის ის ზარალი, რაც ყიზლარში განვიცადეთ?

თუ მოსავალს ვერ ავიღებთ, ცხვარი დაგველუპება, თუ ცხვარი არ გვეყოლება, აღარც სოფელი გვექნება, მოდა, სამონასტრო კომპლექსს ვიღა მიხედავს? ამიტომ დაყოვნება აღარ შეიძლება. „ნავთობპროდუქტების" კონცერნმა, სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტრომ, პარლამენტის სოფლის მეურნეობის კომისიამ — ყველამ ხელი უნდა გამოიღოს, საწვავი იშოვოს და უდაბნოს მეურნეობის მოსავალი უნდა ავიღოთ.

ჯემალ ქურხული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამული შველას ითხოვს!

თბილისიდან წალკამდე დიდგორის გავლით

ხშირად ვიტყვით ხოლმე — დღეს მამულის ბედი თბილისში, პარლამენტში კი არა, საქართველოს რეგიონებში, რაიონებსა და სოფლებში წყდება. ახეც არის. მართლაც, ჩვენი ქვეყანა რომ აღორძინდეს, ისევ რომ წამოიმართოს და წელში გასწორდეს, რეგიონებმა, რაიონებმა, სოფლებმა უნდა იმძლავრონ... მათ შემართებასა და შრომაზე, თითოეული სოფლელი კაცის მონდომებასა და თანადგომაზე დღეს ბევრია დამოკიდებული.

აკი ამიტომაც არის, რომ დღეს აჭარამ, ბათუმმა, ახლახან მასთან თანადგომისა და თანამშრომლობის ხიდის გამდებმა რუსთავმა, ახალი ეკონომიკური რეფორმების გზაზე დამდგარმა ქუთაისმა და ფოთმა მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას ჩაუსახა იმედი იმისა, რომ თურმე კიდევ გვქონია წამალი სათოფისწამლეში, კიდევ შეგვრჩენია შეგნება და შემართება იმისა, რომ ერთად ჩავდგეთ მამულის სამსახურში და ავაღორძინოთ ჩვენივე სიბეცით გაპარტახებული საქართველო.

მაგრამ ამ მამულიშვილურ საქმეს მარტო დიდი რეგიონებისა და ქალაქების მონდომება არ ეყოფა. დღეს, რომ იტყვიან, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს საქართველოს რაიონებსა და სოფლებში იმისათვის, რომ სწორედ ამ გაჭირვების ჟამს, მაშინ როცა მაფია თუ მავანი, ასე ცდილობს ქვესკნელში გადაგვჩეხოს, მოვიწიოთ — მოსავალი და შიმშილისაგან ვიხსნათ ჩვენი ხალხი.

ამას წინათ, საქართველოს პარლამენტარებთან ერთად მარნეულში გამართულ რეგიონულ საქმიან შეხვედრას დავესწარი. პრობლემები იცოცხლეთ, იმდენი იყო, რომ რა ქაღალდი გაუძლებს, მაგრამ... აი, მაგალითად, მარნეულში, რომ იტყვიან, წელზე ფეხი დაიდგეს, საწვავი, რაც ვერ მიიღეს, თავად იშოვეს და დასათესი დათესეს. კიდევ რამდენიმე დღეც და ასობით ტონა საადრეო კარტოფილი და ბოსტნეული უნდა მიაწოდონ თბილისელებს, მაგრამ... ხომ ნახეთ ტელევიზიით, მთელი ეს შრომა შეიძლება ოხრად დაგვრჩეს თუ საწვავი არ გამოვნახეთ და მოსავალი არ ავიღეთ.

განმკითხავი კი, როგორც ითქვა, ჯერჯერობით არავინ არის.

გასულ შაბათს მთხოვეს მონაწილეობა მიმეღო ადგილობრივი მმართველობის რესპუბლიკური სკოლის ეგიდით წალკაში დაგეგმილ მორიგ საქმიან შეხვედრაში, რომელშიც ჩვენს პარლამენტარებთან ერთად მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები.

წალკის რაიონი, მოგეხსენებათ, საქართველოს ის რეგიონია, რომელსაც თავისი მეცხოველეობის პროდუქტებით, კარტოფილითა და სხვა ნაწარმით, შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს თბილისს, მთელ საქართველოს. რა მდგომარეობაა დღეს წალკაში, რა უჭირთ ჩვენს ძმებს ბერძნებს, რას აკეთებენ იმისათვის, რომ ამ გაჭირვების ჟამს მხარში დაუდგნენ საქართველოს? ეს დღეს ყველას აღელვებს, ასევე გვაღელვებდა ჩვენც, როცა თბილისიდან მანგლისის გადავლით წალკის გზას მივუყვებოდით.

აქვე, წყნეთის თავზე, სამადლოს არ ვიყავით გაცილებული, რომ გზად ქართული ნიშნებითა და ნომრებით „დამშვენებულ“ რამდენიმე ბენზინმზიდ მანქანას წამოვეწიეთ. ხნეშა-ხნეშით მიიწევდნენ აღმართზე ამ საოცნებო საწვავით პირთამდე სავსე მანქანები თავსა და ბოლოში „ჟიგულებში“ გაჯგიმული ავტომატებიან გვარდიელთა ესკორტის თანხლებით.

აქაური კაცი დაგვემგზავრა, ფეხით მიუყვებოდა გზას. მართლაც, გულსაკლავი სანახაობაა — წყნეთიდან ზემოთ სოფლებისკენ მიმავალ გზებზე ფეხით მიმავალი დიდი თუ პატარა, ჩვენი ავტობუსის ხმის გაგონებაზე კისრებს რომ იღრეცდნენ და ხელის გამოწევით გვეხვეწებოდნენ — წაგვიყვანეთო. რამდენს წაიყვან?

ჩვენი თანამგზავრი დიდთონეთელი გრიგოლა, ერთ უბრალო გლეხკაცად რომ გაგვეცნო, ისეთი ენაწყლიანი გამოდგა, რომ ზოგიერთ ჩვენ პარლამენტარსაც კი შეშურდებოდა.

— გახედეთ, ხალხი არა ხართ, — გვეუბნება გრიგოლი, — ახლა ამათ ნამუსი აქვთ. ამათ საქართველო უყვართ, დღე ერთია და ათობით ცისტერნებს მიაცილებენ; სომხეთის საზღვარს გადავლენ და გააჩაღებენ ვაჭრობას. იქა, 1200 რუსულ მანეთად ჰყიდიან ლიტრ ბენზინს. არ ვიცი, ეს ოხერი, აი საადრეო კარტოფილი, ბოსტნეული გვეღუპება, უსაწვავობით ვერ აგვიღია. ესენი კი, ნახეთ, რა დღეში არიან. ჰაი დედასა, — ცხარობს გრიგოლი და ბიჭი ხარ, ნუ აჰყვები და ნუ დაუკრავ კვერსა.

დიდგორის გადასახვევთან, გვარდიის ფორმაში გამოწყობილ მეავტომატეთა პიკეტი გვაჩერებს, რომ გაიგეს პარლამენტიდან არიანო, ნირი კი ეცვალათ, მაგრამ არ შეიმჩნიეს.

ღმერთია მოწამე, სამაჩაბლოში მთელი სამი თვე გავატარე გვარდიელებთან, მაგათ ენაცვალოთ ჩემი თავი, სიკვდილიც მინახავს და სიხარულიც, რამდენი დამიწერია, რამდენი კეთილი სიტყვა მითქვამს მათზე, რამდენი სიყვარული მახსოვს ჩვენი ბიჭებისაგან, მაგრამ რა ვქნა, მომკალით და, ის სხვანი იყვნენ, იქ სხვა გვარდია იყო.

ვეკითხები მოპიკეტეებს: — ვინა ხართ, შვილო, ამ ტრიალ მინდორში რად ამოსულხართ, მანქანები აქ იშვიათად დადიან, კურდღლებზე ხომ არ ნადირობთ-მეთქი წავუხუმრე (რა ვიცი, ეს ოხერი, ავტომატებს ჩილიკა-ჯოხივით ათამაშებენ და...)

ერთი სიტყვით, ბრძანებას ვასრულებთო, გვითხრეს, ეს იყო და ეს... მიდი და, გაიგე მათი ასავალ-დასავალი. „დგანან და ელიან“..

კაცმა რომ თქვას, განა რა ისეთი განსწავლულობა და გულთმისნობაა საჭირო იმისათვის, რომ ცხადად წარმოვიდგინოთ, თუ რა ხდება ამ ჩვენს უპატრონოდ მიტოვებულ სარაიონთაშორისო გზებსა და გზაჯვარედინებზე. ასე მიუყვებიან ამ გზებს მეზობელი სომხეთისაკენ არ ვიცი საიდან და როგორი გზით ნაშოვნი ბენზინითა და პურის ფქვილით დატვირთული ბენზინმზიდები და „კამაზები“ გვარდიელთა ფორმაში გამოწყობილი ესკორტებით და არის ერთი ბაირამობა.

— წალკელებს უთხოვიათ, — გვეუბნება ჩვენი თანამგზავრი, წალკელების დეპუტატი პარლამენტში დიმიტრი ჩიტლოვი — ერთი მანქანა ჩვენთან გაყიდეთ, საფასურს ჩვენც გადაგიხდითო, მაგრამ, თქვენ არ მომიკვდეთ.

— რა ხდება, ხალხო, ამ ქვეყანას პატრონი არა ჰყავს? — გვეკითხება დიდთონეთელი გრიგოლი, — განა რა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ ვინც საწვავსა და პურს ფლობს, ქვეყანაც იმისია. აკი ამიტომაც ვართ ასე, ადგილიდან ვერ დაგვიძრავს ვერც სოფელი და ვერც ქალაქი.

ასეა მართლაც. თუ სახელმწიფომ ხელი შეუშვა ამ სტრატეგიული პროდუქციით ქვეყნის მომარაგებას და იგი მაფიოზთა თუ მავანთა ხელში ჩააგდო, ცხადია, სიკეთეს არ უნდა ველოდეთ.

ამას წინათ, საქართველოს სამხედრო გზაზე, სოფელ არაგვისპირთან ბენზინით დატვირთული მანქანების სამკილომეტრიანი კოლონა ვნახე, ვიფიქრე, არიქა აგვაშენდით, ცოტა ხნით მაინც გვეშველა მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად, ახლოს რომ მივედი მთელი ეს უზარმაზარი კოლონა ჩვენი მეზობელი სომხებისა აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ სომხეთის სახელმწიფო მომარაგების სტრუქტურას მიჰქონდა ეს საწვავი ერევანში. კოლონას მიაცილებდნენ: მინისტრი, პროკურატურის, პოლიციის წარმომადგენლები. ისიც მითხრეს, რომ საქართველოს მთავრობას დაუვალებია ჩვენი საგზაო პოლიციისათვის ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი ამ კოლონისათვის მთელ მარშრუტზე.

— აგაშენათ ღმერთმა, მეზობლებო, ცხადია, უნდა გავატაროთ და გამოვატაროთ კიდეც, მაგრამ ჩვენ რა? ეგებ ის მაინც გავაკეთოთ, რომ მაგალითი გადმოვიღოთ და ასე ორგანიზებულად ჩვენც გავისარჯოთ. თუ მართლა გვინდა ავაღორძინოთ ჩვენი ქვეყანა, თითოეული ლიტრი თუ გრამი საწვავი უმკაცრეს კონტროლს უნდა დავუქვემდებაროთ. ვესმის, ომი გვაქვს და ომს საწვავი სჭირდება. მაგრამ არანაკლები ომია მთელ საქართველოში, როდესაც არ მუშაობს ტრანსპორტი, საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები. იმას, ვინც საწვავით შოულობს მილიარდებს, ცხადია, არ ანაღვლებს არც ქვეყნის, არც ოჯახის, არც თანამოქალაქეთა ბედი. როდემდე უნდა გაგრძელდეს ყოველივე ეს?

აკი ამიტომაც დგანან სალსალამათი ავტომატიანი ბიჭები დიდგორის გადასახვევთანაც და სხვაგანაც და იცავენ საქართველოდან სომხეთისკენ მიმავალ ბენზინმზიდებსა და ფქვილით დატვირთულ „კამაზებს“, მაშინ როცა ჩვენს თვალწინ იფერფლება სოხუმი და მისი ბევრი დამცველის ლამაზი სიცოცხლე.

მახსოვს ცხინვალში, ე. წ. „ტეკთან“ ახლოს ყაყაჩოებით გადაწითლებულ მინდორში როგორ ებრძოდა სიკვდილს სნაიპერის ტყვიით თავგაჩეხილი ჩვენი გვარდიის უსაყვარლესი პატარა ბიჭი — კახა, მახსოვს სიმწრისგან როგორ ბდღვნიდნენ მიწას მისი თანამებრძოლები. მახსოვს ის ფიციც და ნამდვილი „ქართული შეტევაც“, კახას სიკვდილს რომ მოჰყვა, მაგრამ.... ამას ახლა მხოლოდ აფხაზეთში თუ ნახავს აქეთ კი? აი, მივუყვები წალკის გზას და წინ ორი აქლოშინებული ბენზინმზიდი მიგვიძღვის თავისი ესკორტით, მე კი ლამის არის გული გამისკდეს. დაუდგეს თვალი სიხარბეს, იმ მილიონებს, ამ რეისის შემდეგ რომ წამოიღებენ სომხეთიდან, თუნდაც ამ სიმწრით დაწერილი წერილის საფასური — ის საცოდავი 1000 კუპონი მირჩევნია, რითაც ნახევარ კილოგრამ მარწყვსაც ვერ ვუყიდი ჩემს შვილიშვილს.

— ხედავთ, ხალხო, რა დღეში ვყოფილვართ, რომ წალკაში წასულმა ხალხმა ჯერაც საწალკოდ ვერ მოვიცალეთ და იქ ჩასვლამდე, ლამის არის, ერთი დეტექტიური რომანის მასალა დავაგროვეთ.

გზაც იმისაა და მანქანაც, რომ უნდა ითქვას სათქმელი. მოგეხსენებათ, ჩვენი პროფესიის ამბავი—უფრო სხვას ვუსმენთ: — 14 ათასი მანეთი — ერთი ტომარა ფქვილი, — გაგიგონიათ? გვეუბნება ჩვენი ერთ-ერთი თანამგზავრი და განაგრძობს — როცა თვეობით არ ცხვება პური და არც სახელმწიფო ფიქრობს შენზე, რა წყალს უნდა მისცე თავი, უნდა წილებზე ფეხი დაიდგა და იყიდო, აბა, შიმშილით ხომ არ ამოწყვიტავ ოჯახს?

ასეა, წამგლეჯი და ქვეყნის დამქცევი სწორედ მაშინ დაგადგამს თავზე ფეხს, როცა ხედავს, რომ გამოსავალი არა გაქვს. ასეა ახლაც. როგორც ჩანს, ბენზინისა და საწვავის მაფიას ახლა პურის მაფიაც ამოუდგა გვერდში, თორემ აბა, ასე როგორ ჩაგვაგდებდნენ მათ ხახაში ისინი, ვისაც ეს საქმე ევალებაო.

მე არ ვიცი, რა შეიძლება ვუთხრათ ამ ხალხს, ადამიანებს, ვინც დღეს, ამ გაგანია გაჭირვების ჟამს, ებრძვის მიწას, მაინც თესავს და იმკის; დღე ერთია და ვინ იცის რამდენჯერ გადავცემთ და ვწერთ იმას — აი, შემოვიდა ხომალდი, შემოიტანა ხორბალი, ბრინჯი, კარაქი და სხვა პროდუქტები... სად მიდის, ვინ აკონტროლებს ამას?

ერთი სიტყვით, მარტო თბილისიდან წალკამდე როდი გვჭირს ის უბედურება, რაზეც მოგახსენეთ. ასეა ყველგან, განსაკუთრებით კი საზღვრისკენ მიმავალ გზებზე. ნეტავ შეგახედათ, რა ვითარებაა წითელ ხიდთან. ვისაც კი სადმე იარაღი ან ფორმა უშოვია, ყველა მოსწყდომია აქაურობას. ვინ ვის რასართმევს აქ, ძნელი დასადგენია. არის ერთი აღებ-მიცემობა, გამოძალვა, გაწევ-გამოწევა. მანქანა ვერ შემოსულა რესპუბლიკაში ისე, რომ რამე არ წაართვან, არ წაგლიჯონ.

ამიტომაც იკლო ჩვენს ბაზრებში მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანილმა პროდუქტმა, ხოლო თუ ვინმე გადაურჩა და მაინც დაუძვრა ხელიდან გზების ყაჩაღებს, მამასისხლად ყიდის ყველაფერს.

მაგრამ ისევ მგზავრობას დავუბრუნდეთ... ერთი განახათ, რა საამო სანახავია გზის ორივე მხარეს გადაჭიმული ჩვენი სოფლების მინდვრები, აქაურების საკარმიდამო ნაკვეთები. ამ გასაჭირში მართლა უშრომია ხალხს, თვალს გტაცებს კარტოფილის, კომბოსტოს, სხვა ბოსტნეულის ნათესები. სადაც სულ მალე უნდა დაიწყოს მოსავლის აღება.

მაგრამ რით, როგორ? — ამაზე პასუხი ალბათ ჩვენმა პარლამენტმა და მთავრობამ უნდა გასცეს რადგან არ შეიძლება ამ ხალხის, ამ შრომის ასე უყურადღებოდ მიტოვება.

ჩვენს წინ ისევ სომხეთისაკენ მიმავალი ბენზინმზიდების კიდევ ერთი გვარიანი კოლონა გამოჩნდა თავისი ესკორტით. ძალაუნებურად ათასი რამ გიტრიალებს თავში ამის შემყურეს, მართლაც განა ისეთი რა ბინდი გადაგვეკრია თვალზე, რომ ვეღარ ვხედავთ რა ხდება ჩვენს ირგვლივ, რა დღეშია მამული ჩვენი?

ახლა, როცა სომხეთისკენ მიმავალ კოლონას მივყვები, მახსენდება ერთი ამასწინანდელი ამბავიც.

ახლახან მეგობარს გავყევი ერევანში... ვიფიქრე, ვისარგებლებ ამ შემთხვევით, თვალს გადავავლებ, ვნახავ რა ხდება, როგორ არიან ჩვენზე უფრო შავ დღეში ჩაცვენილი ჩვენი მეზობელ-მეგობრებიმეთქი.

ვნახე... უჭირთ და მერე როგორ უჭირთ სომხებს. მაგრამ არ იმჩნევენ, აქ ცხვირჩამოშვებულს, უიმედოსა და გაოგნებულს ვერ ნახავთ. პირიქით, ქალაქად თუ სოფლად ყველა შრომობს, საქმეს აკეთებს... ერთი სიტყვით, ყველა ისეა შემართული, ისეა შეკრული, რომ იტყვი: — აბა, ხალხი ესენი ყოფილანო! ასეც არის, მაგრამ ამაზე სხვა დროს. ახლა კი ერთ ყოფით შემთხვევას გავიხსენებ.

ერთი დაწესებულების წინ, მანქანიდან რომ გადმოვედით, მეგობარმა ჩვენებური „წესისამებრ“ ბუდიდან მაგნიტოფონი ამოიღო, იღლიაში ამოიდო და... იქაური პოლიციელიც დაგვადგა თავზე.

— გატყობთ, ქართველები ხართ, ძმურად გთხოვთ, ნუ იზამთ ასეთ საქმეს, ეგ მაგნიტოფონი ისევ მანქანაში დატოვეთ, არ გვაწყენინოთო.

გაკვირვება რომ შეგვატყო, გვითხრა: — რაც ამ უბედურ დღეში ვართ, ერევანშიც და მთელ სომხეთშიც არა თუ ქურდობა, სიტყვა ქურდობა და ყაჩაღობა საერთოდ ამოვიღეთო ხმარებიდან.

— რომ წასძლიოს მაინც ვინმეს სულმა? — წამომცდა უნებურად.

— არ წასძლევსო, რადგან ასე გადაწყვიტაო ხალხმა — გვითხრა.

ჩვენს წინ ერთი ჩვეულებრივი, საშუალოზე მაღალი, ლამაზი გარეგნობის სომეხი ბიჭი პოლიციელი იდგა და გვიღიმოდა.

რაღას ვიზამდით, მაგნიტოფონი ისევ მანქანაში ჩავაბრუნეთ, ნირწამხდრებმა ღია მანქანა ქუჩაში დავტოვეთ და...

სამი საათის შემდეგ ჩვენი მანქანა, მთელი თავისი ატრიბუტიკით ადგილზე ხელუხლებელი დაგვხვდა.

ასე გაგვიჩინეს თავსატეხი სომხებმა. მთელი გზა ერევნიდან თბილისამდე რა არ ვთქვით, რაზე არ ვიდავეთ.

რა ვიცი, თითქოს არც ჩვენ გვაქვს მაგათზე ნაკლები სამშობლო, თითქოს არც ჩვენ ვართ მაგათზე ნაკლები ხალხი, მაგრამ დღემდე ფიქრადაც არ მოგვსვლია ამ საერთო შეჭირვების ჟამს მაინც ხელი აგვეღო ქურდბაცაცობასა და ხელმრუდობაზე. უფრო მეტიც, უმოწყალოდ ვხოცავთ ერთმანეთს.

რა ვქნა, მას შემდეგ ის რაღაც თეთრი თუ ცისფერი შურია თუ ბოღმა, აღარ მასვენებს, ვიფიქრე: გამიჩნდება-მეთქი შესაძლებლობა და საჯაროდ ვიტყვი ამის შესახებ. აი, ახლა ვამბობ და თან ვკითხულობ: — რა ვუყოთ ხალხნო, ამ ჩვენ ბედკრულ მამულს, კიდევ ვქარცვოთ და ვანგრიოთ, თუ?

ამდენ ფიქრსა და კამათში უკვე წალკაშიც მივსულვართ... გამგეობის წინ ღიმილით გვეგებებიან ჩვენი ძმები — „ქართველი ბერძნები“.

გულღია, მშრომელი ხალხია... ახლა არც მათ ულხინთ, მაგრამ... ამაზე მომდევნო წერილში გესაუბრებით.

გია ჟელიძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სურეთ ჰუსეინოვი დაამტკიცეს აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრად

აზერბაიჯანის ეროვნული არმიის 34 წლის პოლკოვნიკი სურეთ ჰუსეინოვი დაამტკიცეს რესპუბლიკის ახალ პრემიერ-მინისტრად აზერბაიჯანის ეროვნული კრების სხდომაზე.

ამ პოსტზე სურეთ ჰუსეინოვის კანდიდატურა წამოაყენა პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შემსრულებელმა აზერბაიჯანის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ჰეიდარ ალიევმა. წინა დღით მათ დაასრულეს პოლიტიკური კონსულტაციები, რომელთა დროსაც, როგორც კონფიდენციალური წყაროები იტყობინებიან, როგორც ჩანს, მოახერხეს გამოენახათ გამოსავალი რესპუბლიკაში არსებული კრიზისული სიტუაციიდან.

სახელმწიფო მრჩევლის აზრით

აზერბაიჯანის სახელმწიფო მრჩეველმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში ვაფა გულუზადემ განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანს ფრონტზე მოვლენათა განვითარებაზე ზემოქმედება იქონია შინაპოლიტიკურმა ვითარებამ, რომ აზერბაიჯანის დღევანდელი ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა შეაჩეროს სომხეთის ჯარების შეტევა.

თურქმენეთის პრეზიდენტის ინიციატივა

თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურად ნიაზოვმა წინადადება წამოაყენა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ახალი თანამეგობრობის შექმნის შესახებ, რომელშიც შევლენ ბალტიის სამივე რესპუბლიკა, საქართველო და აზერბაიჯანი. თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში გამოსვლისას მან თქვა, რომ ახალ გაერთიანებას მხოლოდ და მხოლოდ სათათბირო სტატუსი ექნება. ნიაზოვი აპირებს ამ წინადადების შეტანას აშხაბადში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მეთაურების შეხვედრაზე, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომას გაიმართება.

ანატოლი სობჩაკი გმობს

სანქტ-პეტერბურგის მერმა ანატოლი სობჩაკმა მკაცრად დაგმო ესტონეთის მიერ მიღებული „უცხოელთა შესახებ“ კანონი, რომელიც მისი სიტყვით გამიზნულია რუსულენოვანი მოსახლეობის რესპუბლიკიდან დეპორტაციისათვის. მისი აზრით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა მიმართოს თხოვნით ჩრდილოეთის საბჭოს, რომლის შემადგენლობაშიც ახლახან იქნა მიღებული ესტონეთი, გარიცხოს იგი საბჭოდან. ბალტიისპირეთის ამ ქვეყნის პოლიტიკა რუსების მიმართ, თქვა სობჩაკმა, კიდევ უფრო მკაცრია, ვიდრე აპარტეიდი სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკაში.

ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება

უკრაინაში საქმიანობას **შეუდგა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება „მშრომელი უკრაინა“.** მის შემადგენლობაში შემავალი კომუნისტური და სოციალისტური ორგანიზაციები ამოცანად ისახავენ უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენას. ამის მისაღწევად აპირებენ სექტემბრის რეფერენდუმთან დაკავშირებით გააქტიურონ პრეზიდენტისადმი უნდობლობის გამოცხადების პოლიტიკური კამპანია, წარმატების შემთხვევაში კი გააუქმონ საპრეზიდენტო ინსტიტუტი. „მშრომელი უკრაინა“ იმედოვნებს ახალ პარლამენტში ხმების უმრავლესობის მოპოვებას და ამის მეოხებით ახალი კონსტიტუციის მიღებას, რომელშიც საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდება.

აპირებენ „მშვიდობიანი რევოლუციის“ ჩატარებას

რუსეთის რადიოს ცნობით სომხეთში ოპოზიციური გაერთიანება „ეროვნული თვითგამორკვევა“ აპირებს 7 ივლისს „მშვიდობიანი რევოლუციის“ განხორციელებას. ხალხისადმი გამოქვეყნებულ მიმართვაში ეს გაერთიანება ადანაშაულებს სომხეთის ხელმძღვანელობას იმაში, რომ რესპუბლიკა გაპარტახებამდე მიიყვანა და მოითხოვს მის მშვიდობიანი გზით გადაყენებას. ორგანიზაციის ლიდერმა, წარსულში ცნობილმა დისიდენტმა აირიკიანმა პარლამენტში გამოსვლისას აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მოსახლეობა, როგორც ამას გამოკითხვა ადასტურებს, არ არის კმაყოფილი ხელისუფლების საქმიანობით და მის გადაყენებას მოითხოვს.

არ გამორიცხავენ ერაყზე ახალ დარტყმას

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა არ გამორიცხა ერაყზე ახალი დარტყმის შესაძლებლობა თუ ბაღდადი განაგრძობს ძალმომრეობისა და ტერორიზმის ტაქტიკას ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. ეს ნათქვამია კონგრესისადმი გაგზავნილი პრეზიდენტის წერილში. ამერიკელთა რაკეტულმა დარტყმამ ერაყის სადაზვერვო ცენტრზე ბაღდადში მსოფლიოში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მას მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებმა, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა და იაპონიამ. რუსეთიც ამ აქციას გამართლებულად მიიჩნევს, ვინაიდან ამგვარი მოქმედება გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად შეფასებულია, როგორც თავდაცვის უფლება. არაბულ სამყაროში ამ აქციამ მწვავე კრიტიკა გამოიწვია. ისლამური სახელმწიფოების ორგანიზაციამ, რომელიც 51 ქვეყანას აერთიანებს, შეაფასა ამერიკის მოქმედება, როგორც არაპროვოცირებული აგრესია.

ტელეკომპანია სი-ენ-ენისათვის ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა განაცხადა: პრეზიდენტ კლინტონის მითითებით „სამხედრო აქცია ერაყის წინააღმდეგ ნათელი გაფრთხილებაა იმის შესახებ, რომ როცა კი ადგილი ექნება სახელმწიფო ტერორიზმის აქტებს, ამერიკის შეერთებული შტატები უყოყმანოდ მიმართავს ცალმხრივ მოქმედებას“. სახელმწიფო მდივანმა გააფრთხილა ერაყი, რომ „თუ ბაღდადი შეეცდება რამე საპასუხო მოქმედების განხორციელებას, მან უნდა იცოდეს, რომ ჩვენ კვლავ დავარტყამთ ერაყს“...

შავი ზღვის ფლოტის წარმომადგენელთა კრებაზე

შავი ზღვის ფლოტის მთავარ ბაზაში — სევასტოპოლში გემებისა და ფლოტის ქვედანაყოფების წარმომადგენელთა კრება იხილავს სიტუაციას, რომელიც შეიქმნა 17 ივნისს რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტების ბორის ელცინისა და ლეონიდ კრავჩუკის მიერ ორ ქვეყანას შორის ფლოტის თანაბრად გაყოფის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ. ბევრი ოფიცერი ფლოტის მთლიანობას უჭერს მხარს. ფლოტის შტაბის ოფიცრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 1 ივლისს ყველა გემზე აღმართონ ისტორიული ანდრიას ალამი, ხოლო რუსეთის უზენაეს საბჭოს სთხოვეს ფლოტი თავის იურისდიქციას დაუქვემდებაროს.

უშიშროების საბჭომ უარყო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ უარყო რეზოლუცია ბოსნია-ჰერცეგოვინაში იარაღის მიწოდების ემბარგოს გაუქმების შესახებ. რეზოლუციის პროექტი წარადგინა უშიშროების საბჭოს მიუმხრობელი ქვეყნების — ვენესუელის, ჯიბუტის, კაბო-ვერდის, მაროკოს და პაკისტანის ჯგუფმა. რეზოლუციის ამ პროექტს ხმა მისცა 6 სახელმწიფომ — პროექტის ავტორებმა, აგრეთვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, 9 ქვეყანამ თავი შეიკავა. ამრიგად რეზოლუციის პროექტმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო უმრავლესობა და არ იყო მიღებული.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რუსეთს

კლინტონის ადმინისტრაცია **მოუთმენლად მოელის „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ლიდერთა უმაღლესი დონის თათბირს ტოკიოში.** პრეზიდენტს საშუალება მიეცემა შეხვდეს ეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიოს შვიდი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, აგრეთვე პრეზიდენტ ელცინს. ეს აქ ბრიფინგზე განაცხადა ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს პასუხისმგებელმა თანამშრომელმა რობერტ ფაუერმა. მისი თქმით, თეთრ სახლს იმედი აქვს, რომ გაიმართება „დისკუსიების კარგი სერია უმაღლესი დონის შეხვედრის დროს პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე“. **ამასთან მან გამოყო განსახილველი სამი ძირითადი პრობლემა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის უმაღლესი დონის თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რუსეთს.**

გაიხსნა კონფერენცია

მადრიდი, 30 ივნისი. (იტარ-ტასი). სამშაბათს პანამაში გაიხსნა ნარკობიზნესთან ბრძოლის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობენ ლათინური ამერიკის 12 ქვეყნის წარმომადგენლები, აგრეთვე ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის დელეგატები.

კონფერენციის გახსნაზე გამოსულმა პანამის პრეზიდენტმა გილიერმო ენდარამ განაცხადა, რომ მის ქვეყანაში უკვე მოქმედებს ღონისძიებათა პაკეტი, რომელთა მიზანია ხელი შეუშალოს „თეთრი სიკვდილით“ ვაჭრობის შედეგად მიღებული ფულის „გაკეთილშობილებას“. ამჟამად პანამის მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს სხვა სახელმწიფოებთან ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამების შემუშავებაში, აღნიშნა გ. ენდარამ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

«ფანასკერტელთან» არსებული ფასიანი სამედიცინო კოლეჯი,
რომელიც უკვე ორი წელია წარმატებით ფუნქციონირებს,
აცხადებს აბიტურიენტების მიღებას 1993-1994 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. სამკურნალო ფაკულტეტი — ქართული სექტორი
2. ორთოპედიული სტომატოლოგიის ფაკულტეტი - ქართული სექტორი. მიიღებიან 9 ან 11 კლასდამთავრებული აბიტურიენტები.

საბუთების მიღება დაწყებულია და დამთავრდება 5 სექტემბრამდე.
სწავლა დაიწყება 13 სექტემბრიდან.

მისამართი: ქ.თბილისი. ცენტრი. რკინიგზის სადგურთან. კონსტიტუციის ქ. 6. ფიზკულტურის ტექნიკუმის შენობაში, კაბინეტი 15, „მიმღები კომისია“.



„ფანასკერტელის“ სამედიცინო კოლეჯის ასისტენტი ბატონი ა. კილაძე უტარებს პრაქტიკულ მეცადინეობას თერაპიაში კოლეჯის მე-2 კურსის სტუდენტებს.

თბილისის ეკონომიკისა და პედაგოგიკის ინსტიტუტი
აცხადებს მიღებას 1993-1994 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. წარმოების მენეჯერი (ქართული და რუსული სექტორები);
2. სამართალმცოდნეობა (ქართული და რუსული სექტორები);
3. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართული სექტორი).

საბუთები მიიღება ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა) 10 საათიდან 15 საათამდე. ჩარიცხვა განხორციელდება გასაუბრების საფუძველზე ეტაპობრივად: 1-ლი ნაკადისა 10 აგვისტომდე, მე-2 ნაკადის - 15 სექტემბრამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 6ა, 64-ე საშუალო სკოლის შენობა მ(ეტრო სადგური «სამედიცინო ინსტიტუტი»), ტელეფონი 37-12-00.

მიმღები კომისია

«იმკო» შეგასწავლით! კომპიუტერზე მუშაობას.
«იმკო» დაგეხმარებათ! ფირმის რეკლამა.

ტელეფონი:
29-11-78,
ფალიაშვილის 42,
57-ე სკოლა,
12-17 სთ.

საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო ბიზნესის ინსტიტუტი
აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის (ქართული და რუსული სექტორის დღისა და საღამოს სწავლების) შემდეგ სპეციალობებზე:

I. ბიზნესის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი:
1. წარმოების ეკონომიკა და მენეჯმენტი
2. ფინანსები და საგადასახადო სისტემა
3. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი
4. სამარკეტინგო დაგეგმვა და ბუღალტრული აღრიცხვა
5. კომერციული და საბირჟო სამსახურის ორგანიზაცია და მენეჯმენტი

II. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი
1. შეკერილი ნაწარმის ტექნოლოგია და კონსტრუირება
2. ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის წარმოების ტექნოლოგია
3. ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია და კონსტრუირება
4. ხორცისა და რძის წარმოების ტექნოლოგია
5. ღვინის წარმოების ტექნოლოგია
6. პურის, საკონდიტრო, მაკარონის ნაწარმის და საკვები კონცენტრატების ტექნოლოგია.
7. საკონსერვო მრეწველობის ტექნოლოგია.

III. გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი
1. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული პროექტირება
2. დიზაინი
3. სარეკლამო საშუალებები და რეკლამის ორგანიზაცია.

აბიტურიენტები გასაუბრებას გაივლიან მათემატიკაში, საქართველოს ისტორიაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე მათემატიკის ნაცვლად აბიტურიენტები ჩააბარებენ ხატვას (გრაფიკა).

ინსტიტუტში სწავლა იწარმოებს დილის 9-00 საათიდან.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია. 1993-94 სასწავლო წლის საფასური შეადგენს 50 000 კუპონს.

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით, 10-დან 17 საათამდე კვირის გარდა.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი);
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა №86);
3. ოთხი ფოტოსურათი (3X4);
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

ინსტიტუტის მისამართი: ქ.თბილისი, თორნიკე ერისთავის 2 ყოფილი მაგნიტოგორსკის), მეტრო დიდუბე, ზედა ამოსასვლელი, ჩარხმშენებელი ქარხნის პირდაპირ.

ტელეფონი: 66-78-47, 68-46-04.

მიმღები კომისია.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური ადგილების დასაკავებლად

1. სამხედრო კათედრის გამგე – შეიარაღებული ძალების გენერალი ან პოლკოვნიკი.
2. სასწავლო ნაწილის უფროსი – ერთეული შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი ან ვიცე-პოლკოვნიკი.
3. უფროსი მასწავლებელი 4 ერთეული, შეიარაღებული ძალების ვიცე პოლკოვნიკი ან მაიორი.
4. მასწავლებელი, 3 ერთეული, შეიარაღებული ჯარების მაიორი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება და დებულებით გათვალისწინებული საბუთები უნდა შეიტანონ რექტორის სახელზე.

საკონკურსო მასალების წარმოდგენის ვადაა 20 დღე განცხადების გამოქვეყნებიდან.

მისამართი: თბილისი-31, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ორგანიზაცია ეძებს
გამოცდილ სპეციალისტებს კომერციული ბანკის მმართველისა და მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე.

მოგვმართეთ მისამართზე: სასტუმრო „აჭარა“. ოთახი 106
ტელ. 36-92-36.
15-დან 18 საათამდე.

აქტუალური ინტერვიუ

თვითდამკვიდრებისათვის

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ჟურნალისტთა ფედერაციის საქმიანობაში. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარესთან ეკაკი სიხარულიძესთან.

— ჟურნალისტთა ფედერაცია პირველ ნაბიჯებს დგამს. რა ხდება მის ცხოვრებაში თვითდამკვიდრებისთვის. რას ფიქრობთ სამომავლოდ?

— მოგახსენებთ, ჟურნალისტთა ფედერაციის საქმიანობას სამი ძირითადი მიმართულება აქვს: წევრთა სოციალური პირობების დაცვა, სამართლებრივი უფლებების განხორციელება და პროფესიულ-შემოქმედებითი სრულყოფისათვის გამიზნული ღონისძიებები. მოკლედ შევეხები ზოგიერთ მათგანს. ახლახან მატერიალური დახმარება გავუწიეთ რვა ჟურნალ-გაზეთის რედაქციის კოლექტივს, მათ შორის გაზეთ „შიდა ქართლის" ლტოლვილ რედაქციას, რომლის თანამშრომლებსაც თვეობით არ მიუღიათ ხელფასი, ასევე დავეხმარეთ 120 ხელმოკლე ჟურნალისტს, მათ შორის, ლტოლვილებს გაგრიდან და სოხუმიდან. აღსანიშნავია აგრეთვე, ცხელ წერტილებში ჩვენი ფედერაციისა და რედაქციების მიერ საგანგებო მისიით მივლინებული ჟურნალისტებისათვის სადაზღვევო სისტემის შექმნა. ფედერაციის წევრებს მინდა გამცნო, რომ მათი შრომის დაბალ ანაზღაურებასა და ოპერატიულობასთან დაკავშირებით და კიდევ იმის გამო, რომ დღის განმავლობაში მასალების მოსაპოვებლად უხდებათ რამდენიმე სახის ტრანსპორტის გამოყენება, შესაბამისმა სამსახურებმა გაითვალისწინეს ჩვენი თხოვნა და შეღავათიანი ტარიფებით მგზავრობის უფლების მქონე მოქალაქეთა ნუსხაში შეიტანეს ფედერაციის წევრები.

პროფესიულ-შემოქმედებითი მუშაობის მიზნით ტარდება პრესკონფერენციები და ბრიფინგები სამინისტროების, უწყებების ხელმძღვანელებთან, პარტიათა ლიდერებთან; მუშაობს ახალგაზრდა ჟურნალისტის სკოლა; ჟურნალისტთათვის დაწესდა ნ. ნიკოლაძისა და ს. მესხის სახელობითი პრემიები; პრაქტიკაში გვაქვს შემოღებული რეგიონული ორგანიზაციების დასახმარებლად შეხვედრების მოწყობა (ვიყავით თელავში, გორში, ცხინვალში, ქუთაისში, ოზურგეთში, საგარეჯოში და სხვა); შევაჯამეთ თავდაცვის ფონდთან ერთად მოწყობილი კონკურსი საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის ამსახველ ფოტომასალებზე; საერთაშორისო ქსელში ჩაირთო ჩვენი კომპიუტერული ცენტრი — რედაქციებს შეუძლიათ მიიღონ ნებისმიერი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინფორმაცია; ჩამოვაყალიბეთ ტელერადიო კომპანია „ივერაზია", რომელიც, აგრეთვე, დაეხმარება ჟურნალისტების დასაქმებაში.

განზრახული გვაქვს ბოლომდე მივიყვანოთ ჩვენს მიერ მთავრობის კაბინეტის წინაშე დასმული საკითხები: ჟურნალისტიკის დარგისათვის საჭირო ობიექტების (სტამბები, სარეალიზაციო პუნქტები და სხვა) პრივატიზაცია, ფედერაციისათვის დამხმარე მეურნეობის გადმოცემა; ჩვენი წევრებისათვის დედაქალაქის შემოგარენში მიწის ნაკვეთების გამოყოფა (საგარაჟო და ბინათმშენებლობისათვის); სულ მალე გამოვა ჟურნალ „ჟურნალისტის" პირველი ნომერი და ხსოვნის წიგნი „უკვდავება"; ამიერკავკასიის რეგიონული ინფორმაციული ცენტრის დაფუძნების მიზნით მოკლე ხანში ჩვენთან ჩამოვა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ადან უაიტი. მას შევთავაზებთ, აგრეთვე, წინადადებას ჟურნალისტთა ურთიერთგაცვლებზე. სხვა საკითხების ჩამოთვლით, რის განხორციელებასაც ვაპირებთ, თავს არ შეგაწყენთ.

— რესპუბლიკაში საკმაო რაოდენობით გამოდის როგორც სახელმწიფო პოლიტიკის მომხრე, ისე ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალ-გაზეთები. მათ ურთიერთდამოკიდებულებისათვის რა არის საჭირო?

— ჩვენ ყველანი კოლეგები ვართ და ურთიერთდაახლოება გვმართებს, რაც არ უნდა განსხვავებული აზრი გვქონდეს. სწორედ ამ მიზნით შევხვდით ჩვენს, ასე, ვთქვათ, ალტერნატიულ ორგანიზაციის — ჟურნალისტთა ლიგის წარმომადგენლებს, გაზეთ „იბერია სპექტრის" რედაქციას. იყო აზრთა სხვადასხვაობა, კამათიც, მაგრამ ქვეყნის სიყვარულმა ჩვენს შორის „მშვიდობიანი თანაარსებობის" სურვილი გამოკვეთა.

— საქართველოში ჟურნალისტთა ფედერაციის გარდა არსებობს ჟურნალისტთა ლიგა, ჟურნალისტთა ორი ასოციაცია. რამ განაპირობა ეს? ერთ გაერთიანებაში ერთობლივი ძალისხმევით უფრო ადვილად არ გადაწყდებოდა ჟურნალ-გაზეთების, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა პრობლემები, ჟურნალისტთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, მათი სამართლებრივი დაცვის საკითხები?

— დღეს თითოეული პიროვნება დამოუკიდებელი აზრის მატარებელია. მით უმეტეს — ჟურნალისტთა ჯგუფი. მაგრამ, სასურველია, მათი გაერთიანება ერთ ძლიერ ორგანიზაციაში, რომელსაც გაცილებით მეტი პირობები და საშუალებები აქვს ჟურნალისტთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის მექანიზმის სრულყოფისათვის.

— რას იტყვით, გაზეთების ერთფეროვნებას ხომ არ შეუწყო ხელი ჟანრების ერთფეროვნებამ?

— მართალი ბრძანდებით. ზოგიერთი გაზეთი ჟანრების გამოყენების თვალსაზრისით იოლი გზით მიდის — მშრალი ინფორმაციებითა და ინტერვიუებით ავსებს ნომრებს. ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში ექვსი ინტერვიუ იყო დაბეჭდილი, ორი ინფორმაცია და დანარჩენი რეკლამები. ბოლო ხანს თითქმის გაქრა რეპორტაჟი, მხატვრული და პუბლიცისტური მასალები, ნარკვევი, ფელეტონი და სხვა.

— სულ მალე გამოვა ჟურნალი „ჟურნალისტი". მაინც როგორი იქნება ეს ჟურნალი?

— ჟურნალისტიკას მრავალი პრობლემა დაუგროვდა. აქამდე არ იყო საშუალება ამ პრობლემებზე რეგულარულად ვესაუბრა რომელიმე პერიოდულ გამოცემაში, არც ჟურნალისტების მძიმე და რთული შემოქმედებითი ცხოვრება ჩანდა სადმე. ჩვენი ორგანიზაციის მუშაობაშიც კოლეგები ნაკლებად იყვნენ გარკვეულნი. სწორედ ამის გამო გადავწყვიტეთ დაგვეარსებინა ჟურნალი.

— ხომ არ გამოგრჩა კითხვა, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვანია და პასუხის გაცემას საჭიროებს?

— კიდევ ბევრის თქმა შეიძლება. მაგრამ, მინდა დავამთავრო ნოდარ დუმბაძის სიტყვებით: „ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ..."

— დიახაც, უნდა გვიყვარდეს და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს.

ესაუბრა
თინა ზარგინავა.

ალორძინება

ველით გონიერ, გულად ჭაბუკებს

თბილისის პეიკო ბენდელიანის სახელობის საავიაციო სკოლამ არსებობის მანძილზე საქართველოს 500-მდე მფრინავი მოუმზადა. მათ შორის იყვნენ სახელგანთქმული გენერლებიც. სამშობლოს სამოქალაქო ავიაციას დღესაც ბურჯად უდგანან იმ სკოლის აღზრდილი, სახელოვანი ქართველი მფრინავები და შტურმანები. სამწუხაროდ, ეს სკოლა 1956 წელს დაიხურა.

მხოლოდ 36 წლის შემდეგ, 1992 წელს, სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობის თხოვნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა საავიაციო ინსტიტუტი. ამ საქმის ინიციატორები იყვნენ ბატონები ჯემალ კახიანი, დემურ ლილაძე, ზურაბ ჭანკოტაძე, ვახილ ჯამბაზიშვილი და სერგო ტეფნაძე.

ვესაუბრებით ინსტიტუტის დირექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს სერგო ტეფნაძეს.

— ჩვენი ინსტიტუტის შექმნას დიდი ამაგი დასდო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა გოჩა ჩოგოვაძემ. იგი ამჟამადაც არ გვაკლებს ზრუნვას. თანადგომას გვიწევენ საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების, ავიაკომპანია „ორბისა" და „ტრანსეირ ჯორჯიას" ხელმძღვანელები.

ჩვენი საავიაციო ინსტიტუტი ამზადებს უმაღლესი განათლების მქონე საფრენოსნო და საინჟინრო კადრებს, როგორც სამოქალაქო ავიაციის, ასევე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების ქვედანაყოფებისათვის ცხრა სპეციალობით. მომავალში სპეციალობათა ნუსხა კიდევ უფრო გაიზრდება. სწავლების ორივე ფორმაზე — დასწრებულსა და დაუსწრებელზე უკვე სწავლობს 300 სტუდენტი. ფუნქციონირებს 7 კათედრა. ინსტიტუტში მოღვაწეობენ სპეციალური განათლების მქონე გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლები და მფრინავ-ინსტრუქტორთა შემადგენლობა. მომავალი მფრინავების აღზრდას ემსახურებიან საავიაციო დარგის ცნობილი სპეციალისტები და მფრინავები: არჩილ მეთანელი, ვიქტორ კოვალენკო, გურამ ნიკოლაიშვილი, თენგიზ ნიკოლაიშვილი, სულიკო კიტია, უშანგი როინიშვილი, ოთარ ტუსიშვილი, რამინ ზუკაკიშვილი და სხვები.

ინსტიტუტს აქვს სასწავლო საავიაციო ტექნიკა, თვითმფრინავები „ან-2" და ვერტმფრენები „მი-2". მომავალში გვექნება ახალი თანამედროვე საავიაციო ტექნიკაც. სასწავლო ბაზად ვიყენებთ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ თბილისის სასწავლო სატრენაჟერო ცენტრს, რომელიც განლაგებულია აეროპორტის ტერიტორიაზე. სამხედრო-საჰაერო კადრების მოსამზადებლად გვაქვს სასწავლო-საფრენოსნო ბაზა.

სტუდენტები სასწავლო და საფრენოსნო პრაქტიკას გაივლიან საზღვარგარეთაც. ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი იმუშავებენ სამოქალაქო ავიაციის და სამხედრო-საჰაერო ძალების ქვედანაყოფებში, საავიაციო ქარხნებში და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, ხოლო იმათ, ვინც უცხო ენას მაღალ დონეზე დაეუფლება, უფლება მიეცემათ იფრინონ საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ვმუშაობთ იმისათვის, რომ ინსტიტუტმა მიიღოს სერტიფიკატი ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნილებათა შესაბამისად, რაც საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ სწავლის მსურველები სხვა ქვეყნებიდან. ამჟამად სპეციალისტების მომზადებაზე მოთხოვნა გვაქვს თურქეთიდან და ინდოეთიდან.

წელს 85 სტუდენტს მივიღებთ. ინსტიტუტის სპეციფიკიდან გამომდინარე, საფრენოსნო სპეციალობებზე შემსვლელი აბიტურიენტები საგამოცდო კომისიაზე გასვლამდე სამედიცინო კომისიას გაივლიან.

ასე რომ, ინსტიტუტში ველით მათ, ვისაც სურს მთლიანად გამოავლინოს თავისი თეორიული და პრაქტიკული შესაძლებლობანი ჩვენი ერისათვის მეტად საჭირო საქმეში — ეროვნული ავიაციის სამსახურში.

ბელა ლომთაძე.

აააფეთქეს მაღალი ძაბვის ანძა

29 ივნისს, თბილისში დაახლოებით 18 საათზე ელექტროენერგია გამოირთო ვაკისა და მთაწმინდის რაიონებში, უსინათლოდ დარჩა გამომცემლობა „სამშობლოც" და ჩვენი მკითხველიც შეიძლება გაზეთის ნომრის გარეშე დარჩენილიყო.

„საქენერგოს" დეპარტამენტიდან გვაცნობეს, რომ ვაკის პარკის მიდამოებში გამოირთო მაღალი ძაბვის ანძა და მთელი ხელმძღვანელობა, საავარიო ბრიგადები იქ არიან წასული. ღამის თერთმეტი საათისათვის ელექტროენერგიის მოწოდება აღდგა. დეპარტამენტ „საქენერგოს" თავმჯდომარემ **იური მეფიამ** აგვიხსნა:

— ეს იყო დივერსია. 29 ივნისს თბილისში, ვაკის რაიონში ააფეთქეს 110 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ლითონის საყრდენი (ანძა), რომლის დაზიანებამაც გამოიწვია 110-კილოვოლტიანი „ვაგებისა" და „მთაწმინდის" ელექტროქვესადგურების სრული გამორთვა. ეს ანძა საქართველოს ელექტროსისტემიდან ამარაგებს ვაკისა და მთაწმინდის რაიონების მოსახლეობასა და დაწესებულებებს. ჩვენ „თელასის" მუშაკებთან ერთად ყველაფერი ვიღონეთ, რათა თბილისის სხვა ელექტროქვესადგურებიდან, ტექნიკური შესაძლებლობისდა მიხედვით, ელექტროენერგია მიგვეწოდებინა ისეთი უმნიშვნელოვანესი დაწესებულებებისათვის, როგორიცაა არის მე-9 კლინიკური საავადმყოფო, გამომცემლობა „სამშობლო" და სხვა.

ამჟამად, დროებითი ელექტრონული სქემით ჩავრთეთ „ვაგების" ელექტროქვესადგური და ნორმალურად ვაწვდით ელექტროენერგიას მოსახლეობას. რაც შეეხება „მთაწმინდის" ქვესადგურის მომხმარებლებს, დაახლოებით 60 პროცენტი გადავიყვანეთ სხვა წყაროებიდან მიღებულ ელექტროენერგიაზე.

ანძის აღდგენაზე მუშაობს „საქენერგოს" დეპარტამენტის ელექტროქსელების მშენებლობის ტრესტი და ვვარაუდობთ, რომ **სამუშაოები შემჭიდროებულ ვადებში, დაახლოებით 3-4** დღეში შესრულდება.

— ბატონო იური, მაინც რა მოხდა, როგორ ააფეთქეს ანძა?

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ, რადგან ჩვენს მიერ მოძიებული მასალა გადავეცით შინაგან საქმეთა სამინისტროს და ალბათ ის გამოავლენს დამნაშავეებს.

ვიქონიოთ იმედი...

დივერსანტები კი სულ უფრო მოიწევენ ქალაქის ცენტრისაკენ და დღისით მზისით მოურიდებლად მოქმედებენ.

ან იქნებ ზოგიერთი „ოპოზიციური გაზეთის" მტკიცებისა არ იყოს — ეს პოლიტიკური ბრძოლის უწყინარი ფორმაა?

ლარისა ხუბულური.

მოითხოვენ გადადგომას

ბოლო ხანებში ზესტაფონის რაიონში გამძაფრებული კრიმინოგენული ვითარების გამო საგრძნობლად გაიზარდა დანაშაულობათა რიცხვი, შესაბამისად იმატა გაუხსნელი საქმეების პროცენტმა.

დანაშაულის რიცხვის ზრდა განაპირობა რაიონში შექმნილმა დაუსჯელობის ატმოსფერომ.

შექმნილი ვითარების გამო პოლიტიკურმა პარტიებმა უნდობლობა გამოუცხადეს სამართალდამცავ ორგანოებს, მოითხოვეს რაიონის პროკურორისა და პოლიციის უფროსის გადადგომა და ამ დაწესებულებების რეორგანიზაცია.

პოლიტიკური პარტიების ინიციატივას და მოთხოვნებს გამოეხმაურა რაიონული საავადმყოფოს მთელი კოლექტივი, სადაც რამდენჯერმე მოხდა თავდასხმა ნარკოტიკული ნივთიერებების გატაცების მიზნით.

რაიონის პოლიტიკური პარტიების და რაიონული საავადმყოფოს კოლექტივის მოთხოვნას მხარი დაუჭირა ადგილობრივი მმართველობის გამგეობამ.

ჰენრი შარიქაძე.

განგაშის ზარი

რაც მიწისძვრას გადაურჩა

ანუ ჩვენი გულგრილობითა და უყურადღებობით ნასახლარებს ნასკოლარებსაც ნუ მივამატებთ



საჩხერის რაიონში კორბოული ერთ-ერთი დიდი და ძლიერი სოფელია, სადაც ამჟამად 1800 ოჯახი და 7000-ზე მეტი კაცი ცხოვრობს. სოფელს აქვს ორი საშუალო, სამი რვაწლიანი სკოლა. ერთ დროს ჰქონდა კულტურის სახლიც, უჩვენებდნენ ფილმებს. მაგრამ ეს იყო ერთ დროს...

ორი წლის წინ მიწისძვრამ თითქმის სანახევროდ დაანგრია სოფელი. ყველაზე მეტად სკოლები დაზარალდა. ზომახეთის რვაწლიანი სკოლის ადგილზე ახლა ნასკოლარია. ვაგონებში შეყუჟული ბავშვები კი ელიან როდის აშენდება ახალი.

საჩხერის რაიონის და საერთოდ ზემო იმერეთის ერთ-ერთ უძველეს კორბოულის პირველ საშუალო სკოლას კი, (მას წელიწადს დაარსების 121 წლისთავი შეუსრულდა), რომელიც მიწისძვრამ თითქმის მთლიანად დაანგრია, მაგრამ აღადგინეს, დღეს ისევ საფრთხე ემუქრება.

1990 წელს სკოლის დირექტორისა და პედკოლექტივის სამართლიან დასაბუთებულ მოთხოვნას, რომ სკოლა განიცდის სივიწროვეს და საჭიროა დამატებითი კორპუსის მიშენება, რესპუბლიკის განათლების სამინისტრომაც დაუჭირა მხარი. გაკეთდა პროექტი, გამოიყო თანხები, სამუშაოს შეუდგა ჭიათურის მე-8 სამშენებლო ტრესტი. მშენებლებმა 400 კვადრატულ მეტრამდე ფართობის ბალავერი ამოიღეს. თავიდან საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ მოხდა ძლიერი მიწისძვრა, არსებული სკოლის კორპუსი იმდენად დაზიანდა, რომ მისამე სართულის მოხსნა აუცილებელი გახდა. მშენებლებმა (აღდგენით სამუშაოებს აქ გურჯაანის მე-4 სამშენებლო ტრესტი აწარმოებდა) თავიანთი საქმე კეთილსინდისიერად შეასრულეს, სკოლა რკინაბეტონის ზღუდებით გაამაგრეს.

მანამდე კი ჭიათურის მე-8 სამშენებლო ტრესტი მიშენების სამუშაოებიდან მოხსნა. მიწისძვრით დაზარალებული რაიონების აღდგენითი სამუშაოების შტაბის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა გურჯაანელებს დაავალა, მათ კი ამაზე უარი განაცხადეს და, ვფიქრობ, სამართლიანადაც — აქ მიწის სამუშაოები ნახევრადაც არ არის შესრულებული, თანხები დახარჯულია, ვინც დაიწყო, ნულოვანი ფუნდამენტიც მანვე ამოიყვანოს და მერე ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობასო. ეს დავა კარგა ხანს გაგრძელდა. გურჯაანელებმა დაზიანებული სკოლა აღადგინეს და წავიდნენ...

მესამე წელია ბალავერი ასე უპატრონოდ არის მიტოვებული. მიწა თანდათან იშლება, შავდება და სკოლას უახლოვდება. უკვე ჩაიქცა საყარაულო ჯიხური, აუზი, წყარო, განადგურდა დეკორატიული მცენარეები. ახლა ჭერი სკოლასა და სოფლის ცენტრალურ გზაზეა მიმდგარი. ის, რაც მიწისძვრას გადაურჩა, ყველას თვალწინ უფსკრულში ცვივა. მას შემდეგ დადიან სკოლის წარმომადგენლები რკინის ქალამნებჩაცმული რაიონიდან დედაქალაქში, უწყებიდან — უწყებაში, მაგრამ დაპირებების გარდა ვერაფრისთვის მიუღწევიათ, დაპირებებითა და დარიგებებით კი საქმე, ცხადია, არ კეთდება — შენობის ფუნდამენტს თანდათან ძირი ეცლება და მიწისძვრით ნახევრად დანგრეულ და ახლად აღდგენილ სკოლას თუ უახლოეს ხანში არაფერი ეშველა, მალე ჩამოიქცევა კიდეც.

იქვე ეზოში სკოლის ძველი კორპუსიც დგას, რომელშიც ამჟამად სპორტული დარბაზი და სასწავლო სახელოსნოა. წლევანდელ დიდთოვლობას, აქაურთა მცდელობის მიუხედავად, ისიც ვერ გადაურჩა, სახურავი ჩაინგრა, ახლა წვიმის წყალი თავისუფლად აღწევს სათავსოებში და ყველაფერს ავერანებს.

თავზემოთ ძალა არ არის. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, რომელიც ბედის ანაბარა მიტოვებული, ფინანსურადაც უძლურია (მასწავლებლის ხელფასით ერთ კილოგრამ ხორციან ყველსაც ვერ იყიდით) და ფიზიკურადაც, ეს სამუშაო საკუთარი ძალით რომ შეასრულოს, ამიტომაც ითხოვს დახმარებას, მაგრამ ვერც რაიონში და ვერც სხვაგან ჯერ თანამგრძნობი ვერ უნახავს.

ზოგი შეიძლება შემოგვედავოს კიდეც, რა დროს სკოლაა, შენობა რაა, ისიც ნანატრი გვექნება, ქვეყანა თავზე გვექცევაო. თქვენც მართალი ბრძანდებით, ბატონებო, ქვეყნის დანგრევა და დაქცევა სწორედ მაშინ დავიწყეთ, როცა სკოლას ზურგი შევაქციეთ, უყურადღებოდ დავტოვეთ. ახლა კი ისევ უყურადღებობის გამო თითქმის საუკუნენახევარს მიტანებული სკოლა ინგრევა.

შოთა მაჭარაშვილი.

• • •

სურათზე: პირველი საშუალო სკოლის შენობა და მიტოვებული მშენებარე კორპუსის ტერიტორია.

კარატე

სანქტ-პეტერბურგში 4 ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობდა მსოფლიოს ფესტივალი კარატეში, რომელშიც საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ საბრძოლო ხელოვნების უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი კლუბის —„ჯიქი-90"-ის (პრეზიდენტი — გოჩა ჯავახია) მოზარდები.

მათ ბრწყინვალედ იასპარეზეს და სამშობლოში 11 მედლით (2 „ოქრო", 3 „ვერცხლი" და 6 „ბრინჯაო") დაბრუნდნენ. თავიანთ წონაში უძლიერესნი იყვნენ გიორგი ჩანკვეტაძე და მიხეილ ძაგნიძე.

ამ შედეგებით ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა ყველას აჯობეს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში.

ფეხბურთი

დღეს შვეიცარიაში გაიმართება უეფას აღმასკომის მორიგი სხდომა, რომელზეც საბოლოოდ გადაწყდება ქართული კლუბების მონაწილეობის საკითხი ევროთასების 1993-94 წლების გათამაშებაში.

ჩვენი გუნდებისათვის გამოტანილ განაჩენს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს უეფას ექსპერტთა ჯგუფის (ხელმძღვანელი— შოტლანდიელი ერნი უოლკერი) მიერ საქართველოდან ჩატანილი ინფორმაცია. წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუმრები სპორტული ბაზებისა და სასტუმრო „მეტეხის" მდგომარეობით კმაყოფილნი წავიდნენ, თუმცა ბევრი რამ ქვეყნის პოლიტიკურ სიტუაციაზეა დამოკიდებული. ვიმედოვნებთ, რომ დადებით როლს შეასრულებს სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის საგარანტიო წერილი, რომელიც უეფას ემისრებს მასთან გამართულ შეხვედრაზე გადაეცათ.

იტალიაში დასასრულს მიუახლოვდა ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის.

ქალები

პირველი ფინალისტის — დანიის ნაკრების მომავალ მეტოქეს დაასახელებს მასპინძელთა და გერმანელთა შეხვედრა.

დაზუსტება

დამატებით გაცნობებთ „ქართველი მაგელანის", გინესის თერთმეტგზის რეკორდსმენის ჯუმბერ ლეჟავას პირად ანგარიშს: საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული აგრომრეწვბანკი, სამანეთო №000704712, სავალუტო № 002070936, კოდი — 521705, საკორესპონდენტო ანგარიში — 400167312.

რა ხდება საგარეჯოში?

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დავბეჭდეთ სააგენტო „იბერიას" ცნობა რომ მეოთხე დღეა მიმდინარეობს საპროტესტო აქცია საგარეჯოს რაიონის გამგებლის წინააღმდეგ. აქციის მონაწილეებმა [illegible] მისი სამუშაო კაბინეტი და მოითხოვეს გამგებლის გადადგომა. მოსახლეობის ერთი ნაწილი მოითხოვს გამგებლის პოსტზე კომპარტიის ყოფილი რაიკომის პირველი მდივნის მედეა მეზვრიშვილის დანიშვნას.

როგორც სხვა წყაროებიდან შევიტყვეთ, საქართველოს მაშველთა კორპუსის ადგილობრივი განყოფილების წევრები შევიდნენ საგარეჯოს რაიონის გამგეობისა და პოლიციის შენობაში და აიძულეს რაიონის გამგებელი გივი საბაშვილი და პოლიციის უფროსი დავით წოწკოლაური დაეტოვებინათ თავიანთი სამუშაო ადგილები. მათ წაუყენეს 12-პუნქტიანი ბრალდება.

ამ ფაქტთან დაკავშირებით სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით საგარეჯოში ჩავიდნენ: რესპუბლიკის გენერალური პროკურორი თედო ნინიძე, იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ ოსაძე და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თემურ ფიფია. მაშველთა კორპუსის წევრებს განემარტათ, რომ ისინი მოქმედებენ კანონსაწინააღმდეგოდ და მოსთხოვეს გამგებლისა და პოლიციის უფროსისათვის მიეცათ მუშაობის საშუალება.

ამასთან, შეიქმნა კომისია სხვადასხვა უწყების მონაწილეობით, რომელიც შეისწავლის მაშველთა კორპუსის წარმომადგენელთა მიერ წაყენებულ ბრალდებათა საფუძვლიანობას. გადაწყვეტილებას გამგებლისა და პოლიციის უფროსის მუშაობის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღებენ სათანადო სახელმწიფო სტრუქტურები აღნიშნული კომისიის დასკვნის საფუძველზე.

როგორც სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურში გვითხრეს, სახელმწიფოს მეთაურის მითითებით სახელმწიფოს სტრუქტურების მიმართ ყოველი არამართლზომიერი მოქმედება აღკვეთილი იქნება კანონის მთელი სიმკაცრით.

„სრ ჟურნალისტური გაერთიანება „პოლიტიკა"

ჩვენს მკითხველებს!

როგორც ადრეც გაუწყებდით, რედაქციის ღამის მორიგე ტრანსპორტისთვის საწვავის უქონლობის გამო გუშინ გაზეთს ხელი მოვაწერეთ არა გრაფიკით, არამედ რამდენიმე საათით ადრე, სწორედ ამის ბრალია დღევანდელი ნომრის ინფორმაციული სიმწირე, რისთვისაც ბოდიშს გიხდით. საშველი არსაიდან ჩანს!... ნეტავ როდემდე გაგრძელდება ასე?

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი

1993 წლის 2 ივლისს ატარებს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციას.

სხდომა შედგება აკადემიის სხდომათა დარბაზში: რუსთაველის გამზირი 52, მე-5 სართული, 11 საათზე.

ცნობები ტელეფონებით: 74-54-43 და 74-16-36.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

შეფასებულია 100 ათას ამერიკულ დოლარად!

მედიკოს სტუდენტებს თბილისელ გია გოგსაძის გამტაცებელ სტუდენტებზე მეტი მადა აღმოაჩნდათ — გორელ ბესიკ ელიშაყოვის „თავში" მათ 150 ათასი ამერიკული დოლარი მოითხოვეს.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლი ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცებისათვის ათიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. დღევანდელ საქართველოში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 60-65 წელია, ამდენად, მსგავსი დანაშაულის ჩამდენმა თავისი აქტიური ცხოვრების თითქმის მეოთხედი (მეტი თუ არა) ციხეში უნდა გაატაროს.

როგორც ხედავთ, სასჯელი საკმაოდ მკაცრია, თუმცა დანაშაულებრივ სამყაროს ეს არ აშინებს, მას არც ამ მოქმედების უზნეობა ანაღვლებს დიდად.

მართალია, ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცებათა რიცხვი არ მატულობს, მაგრამ არც იკლებს.

— ნურავის ეგონება, რომ ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანებს გაჭირვებულები იტაცებენ. ხშირად ისინი საკმაოდ შეძლებულნიც არიან. მათ, უბრალოდ, უშრომელად, უცებ გამდიდრების მანია სჭირთ. ერთი დაკვრით 100-150 ათას დოლარს თუ ჩაიჯიბავენ, კარგა ხანს შეუძლიათ მშვიდად და უზრუნველად იგრძნონ თავი. ესაა, სწორედ, მსგავს დანაშაულობათა მოძალების მიზეზი, — **ამბობს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს (მე-6 სამმართველო) უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი თემურ ჯიშკარიანი.**

გახსოვთ, წლეულს, მაისის ბოლოს მომხდარი, თბილისელი მოქალაქის გია გოგსაძის გატაცება საკმაოდ გახმაურებული ამბავი.

რამდენიმე უძილო ღამე გაატარეს მე-6 სამმართველოს თანამშრომლებმა ამ დანაშაულის გასახსნელად. ნიშანდობლივია, რომ საქმე თანამზრახველებს დაზარალებულის ერთ-ერთმა მეზობელმა „მისცა". 100 ათასი ამერიკული დოლარი,— აი, როგორ შეაფასეს 34 წლის, უდანაშაულო, ცოლშვილიანი კაცის, ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკის თავი, ყაჩაღთა შეიარაღებული ჯგუფი მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტრებში, ერთ-ერთი მოქალაქის აგარაკზე გატაცებულთან ერთად რამდენიმე დღე ელოდა ამ თანხას. აღსანიშნავია, რომ დამნაშავეები, ძირითადად, ახალგაზრდები და სტუდენტები არიან. რა თქმა უნდა, ყველა უმუშევარია, თუმცა არც ღარიბი ოჯახებიდან არიან.

მე-6 სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებამ უკვე დაამთავრა ეს საქმე. ყაჩაღებმა მთლიანად აღიარეს დანაშაული. ახლა სიტყვა პროკურატურას ეკუთვნის, რადგან, გეცოდინებათ, ფულის გამოძალვის მიზნით, ადამიანის გამტაცებლებს სწორედ, ეს სამსახური გზავნის საბრალდებო სკამზე.

ამჟამად ავანსცენაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები გამოვიდნენ. გორის რესტორან „რომში" მოქეიფე ბიჭებს სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტი თემურ კოპაძე მასპინძლობდა. საბედისწერო იდეაც, გორელ რამაზ ელიშაყოვის რესტორანში შემოსვლის დროს, სწორედ მას დაებადა:

— რამაზი საკმაოდ შეძლებული მამის შვილია, თუ მოვიტაცებთ, მისი ოჯახი გამოსასყიდ თანხად 150 ათას დოლარსაც კი არ დაიშურებსო.

— მოვიტაცოთ — მისცეს დასტური მეგობრებმა — სამედიცინო ინსტიტუტის მეექვსეკურსელმა ზაზა ჯოჯიაშვილმა, მეოთხეკურსელმა ნიკა ჭურცკაიძემ და სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მეოთხეკურსელმა, თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდის ყოფილმა წევრმა ლაშა ვაშაკიძემ.

მოტაცების გეგმაც შეიმუშავეს, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა და რამაზ ელიშაყოვის ნაცვლად, მისი ძმა, გორის პირველი საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ბესიკ ელიშაყოვი მოიტაცეს.

თბილისში, ვაჟა-ფშაველას ორმოცდათვრამეტში, ჰყავდათ სამი დღის გამოკეტილი უდანაშაულო ყმაწვილი... ბინის გასაღები ლაშა ვაშაკიძის იდო ჯიბეში, მანვე დაურეკა ბესიკის მამას და გამოსასყიდ თანხად 150 ათასი ამერიკული დოლარი მოსთხოვა.

ფეხზე დადგნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის სამძებრო სამმართველოსა და ვაკის რაიონული პოლიციის პირველი ქვეგანყოფილების თანამშრომლები. შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი.

23 ივნისს ბესიკ ელიშაყოვი ოჯახს დაუბრუნდა.

„სტუდენტური აქცია" ჩაიშალა.

უდანაშაულობიდან დამნაშავეობამდე, სიკეთიდან ბოროტებამდე ერთი ნაბიჯია და ყოველმხრივ უნდა ეცადო კაცი, რომ ეს ნაბიჯი არ გადადგა.

ამ ახალგაზრდებს უკვე დაუცდათ ფეხი...

მკითხველი შეატყობდა, რომ ამ გავრცელებულ და საშიშ დანაშაულს კრიმინალური პოლიცია საკმაოდ წარმატებით ებრძვის.

— ჩვენ მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი ვართ სპეციალური ტექნიკური და ოპერატიული საშუალებებით. იმდენად არც პროფესიონალ კადრების ნაკლებობას განვიცდით. ამ ბოლო დროს პროკურატურაც გულისყურით, პასუხისმგებლობით ეკიდება ამგვარი დანაშაულობების გამოძიებას. თუ მოსახლეობაც მხარში დაგვიდგება და დროულად განაცხადებს თავისი გასაჭირის შესახებ, იმედი მაქვს, სულ ცოტა ხანში ამ დანაშაულთა რაოდენობა საგრძნობლად დაიკლებს, — თქვა თემურ ჯიშკარიანმა.

არც ეს დანაშაულია უპრეცედენტო, რომელიც ისევ მე-6 სამმართველოს თანამშრომლებმა გახსნეს. ქალაქში მომრავლდნენ თვითმარქვია პოლიციელები, რომლებიც ვითომ ნარკომანების გამოსავლინად, ისე კი, უპირატესად, ფულის გამოძალვის მიზნით გამვლელ-გამომვლელთ, უცერემონიოდ „ჯიბეებს უმოწმებენ"... ეს მოქმედება, მის უტაქტობაზეც რომ არაფერი ვთქვათ, ძალიან ხშირად მეტად საშიში დანაშაულის დასაბამიც კი ხდება.

ამ მოტივით გარდაბნის რაიონის სოფელ წალკისში გააჩერეს სულიკო მამისაშვილის ავტომანქანა. ოთხნი იყვნენ, შეუმოწმეს ჯიბები და, აქაოდა, საეჭვო ჩანხარო, თავისთან ჩაისვეს, ერთი დაზარალებულის ავტომანქანის საჭეს მიუჯდა და ვითომ ქალაქის სამმართველოში წაიყვანეს, სინამდვილეში მანქანა გაიტაცეს — საბუთებიანად, სულიკო მამისაშვილი კი დილომიდან გლდანში ჩაიყვანეს, „მაკაროვის" ლულა მიაბჯინეს შუბლზე, 40.700 მანეთი და 1200 კუპონი წაართვეს და გაეცალნენ იქაურობას.

წინასწარ ვიტყვი, რომ ოთხი მოძალადისგან, დღესდღეობით, მხოლოდ ერთია დაკავებული. ის, მალხაზ გოგინაშვილი, თბილისის ვაკის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მე-3 ქვეგანყოფილების მორიგის თანაშემწე იყო. თბილისელი ჯუმბერ ბარამიძე და გამოძიებისათვის ჯერჯერობით უცნობი კიდევ ორი დამნაშავე იძებნებიან.

— ერთ დღეს დაზარალებულმა ამოიცნო მალხაზ გოგინაშვილის ავტომანქანა და განაცხადა პოლიციაში, — მითხრა მე-6 სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელმა გიორგი გაგნიძემ, — დაუდარაჯდნენ, დააპატიმრეს. წართმეული ავტომანქანა, დაშლილ მდგომარეობაში, ვაზიანში, ნიკოლოზ გიდივანიშვილის გარაჟში იდგა.

კვლავ შეშფოთებას იწვევს დმანისისა და ბოლნისის რაიონებში ჩამოსახლებული სვანი და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობები.

ბოლნისში, სოფელ ცურტავში ოთხმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა (ისინი უნომრო ავტომანქანით იყვნენ) მძიმედ დაჭრა ტაფტიკ იუსუბოვი, რომელიც ბენზინს ყიდდა. მოსახლეობამ შეძლო ერთ-ერთი დამნაშავის რაულ გულბანის შეპყრობა და რ. იუსუბოვის გარდაცვალების შემდეგ ჩაქოლა ავაზაკი.

დღეს ბენზინის დეფიციტური საქონელია, ძალიან ძვირია და, ძირითადად, აზერბაიჯანული წარმოშობის მოქალაქეებს აქვთ. ეს კი ხშირად გაუთვალისწინებელი შედეგების მქონე კონფლიქტებს იწვევს.

ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთს ძველებურად, უშრომლად, ლაღად სურს ცხოვრება, ზოგიერთი კიდევ სარგებლობს რა ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციით, ყველაფერს თავის საკუთარ ფასს ადებს. ამ საქმეშიც კანონი უნდა ჩაერიოს, რადგან მხოლოდ კანონს შეუძლია სიტუაციის დარეგულირება.

24 ივნისს „იკარუსიდან", რომელიც ბათუმიდან მოდიოდა და იმ მომენტში გორის რაიონის სოფელ ნაწრეტში იდგა, ხუთმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა ფულის გამოძალვის მიზნით მოიტაცა ორი თბილისელი მოქალაქე — საამო თაბაგარი და თემურ ნადირაძე.

დოლარი ხომ არ იყნოსეს ყაჩაღებმა?

შვიდმა ნიღბიანმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა კი კარ-ფანჯარა შეუმტვრია და ოჯახში შეუცვივდა გარდაბნის რაიონის ახალსოფლის მცხოვრებს, თბილისის ნავთობბაზის ოპერატორს ელიზბარ წივილაშვილს, გათოკა ოჯახის წევრები და გაიტაცა 800 ამერიკული დოლარი, ხუთი მილიონი რუსული მანეთი, ვიდეომაგნიტოფონი, მაგნიტოფონი „ინტერნაციონალი", ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი, ოქროულობა, ავტომანქანა და რეგისტრირებული „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი...

ზაურ მაქარაძე.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА